საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 41 (1057) შაბათი, 15 აპრილი, 1995 წელი. ფასი 200 000 კუპონი.

საქართველო აპირებს იჯარით აიღოს კარელიის ტყის მასივის ნაწილი

13 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო კარელიის მთავრობის თავმჯდომარე ვიქტორ სტეპანოვი.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახურში აცნობეს, განიხილეს საქართველოსა და კარელიის, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები. პრიორიტეტულის სახით გამოიყო ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობა. კერძოდ, საქართველოს მთავრობას შესთავაზეს იჯარით აიღოს კარელიის ტყის მასივის ნაწილი, გადაამუშაოს მერქანი და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე გაასაღოს მზა პროდუქცია.

გამოიკვეთა ერთობლივი ინტერესები გემთმშენებლობის, მანქანათმშენებლობის სფეროში. სტუმრებმა განაცხადეს, რომ დაინტერესებული არიან კარელიამ მიიღოს საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქცია, კერძოდ, ქართული მშრალი ღვინოები და ჩაი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ირაკლი მენაღარიშვილი, რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი, სხვა ოფიციალური პირები.

იმავე დღეს კარელიის დელეგაციის სხვა წევრებს შეხვედრები ჰქონდათ საქართველოს სამინისტროებსა და უწყებებში მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ვიზიტის წინ

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი აღმატებულების, ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანის საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის მოსამზადებლად 15 აპრილს თბილისში ჩამოვა ირანელ ექსპერტთა ჯგუფი ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვაეზის ხელმძღვანელობით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

მის აღმატებულებას, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს!

თქვენო აღმატებულებავ!

ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა მოგახსენოთ წერილისათვის, რომელშიც ყურადღებას მიაპყრობთ უმნიშვნელოვანეს თარიღს პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში — ჩვენს სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური კავშირურთიერთობის დამყარების ხუთას წლისთავს. ეს იუბილე მოგვაგონებს ჩვენი ქვეყნების მეგობრობის მდიდარ ტრადიციებს.

პოლონეთისა და საქართველოს ხალხებს აერთიანებთ დიდი სიყვარული თავისუფლებისადმი, ერთნაირი ბედ-იღბალი. სწორედ ეს გვავალდებულებს, განვავითაროთ თანამშრომლობა, განვამტკიცოთ ურთიერთობა, რათა თავი გავართვათ ჩვენი ქვეყნების წინაშე დღეს მდგომ დაბრკოლებებს.

მინდა მადლობა მოგახსენოთ, თქვენო აღმატებულებავ, საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მოწვევისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ერთმანეთის უკეთ შეცნობას და პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის გამოცოცხლებას. ვიზიტის ვადები შეიძლება განისაზღვროს დიპლომატიური არხებით.

ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ დაგარწმუნოთ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენდამი ჩემს დიდ პატივისცემაში.

ლეხ ვალენსა.

რესპუბლიკური თათბირი

განიხილეს აქტუალური პრობლემები

როგორც ვიუწყებოდით, გუშინ, 14 აპრილს, საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც განიხილეს 1995 წლის პირველ კვარტალში საქართველოში კორუფციის, ტერორის, რეკეტისა და საერთოდ, ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით გაწეული მუშაობის შედეგები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

თათბირის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდება.

არჩევნები უნდა ჩატარდეს!

საზოგადოება „არჩევნების“ განცხადება

საქართველოში თანდათანობით ყალიბდება დემოკრატიული საზოგადოება. პოლიტიკური ბრძოლაც შესატყვისად ცივილიზებულ ფორმებს იღებს. ტოტალიტარული მემკვიდრეობის ინერციის მიუხედავად, რაც გამოიხატება ავტორიტარული და ძალისმიერი მეთოდების რეციდივებში, იკვეთება დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ტენდენცია და დღითი-დღე მყარდება სახელმწიფოებრივი თვითშეგნება. ყოველივე აქედან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხალხის ნების გამოხატვის დემოკრატიული ფორმების დამკვიდრება, რისი საუკეთესო საშუალებაც არჩევნებია.

საზოგადოება „არჩევნების“ მიზანია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას პარტიული, ეროვნული და სარწმუნოებრივი ნიშნის მიუხედავად, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის თავის კანდიდატებად წარადგინოს ჭეშმარიტი მამულიშვილები, პროფესიონალები, წესიერებითა და პატიოსნებით ცნობილი პიროვნებები. ჩვენი დევიზია: „არა ლოზუნგები, არა დაპირებები, არამედ ღირსეული პიროვნებები“.

მცირე დრო დარჩა არჩევნებამდე. თუ იგი კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ ჩატარდება, საქართველო დარჩება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ლეგიტიმური ხელისუფლების გარეშე, რაც საშუალებას მისცემს ყველა დესტრუქციულ ძალას ქვეყანაში შექმნას ქაოსი და განუკითხაობა, რის შედეგადაც ქვეყანა კვლავ იზოლაციაში მოექცევა. მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად დღევანდელ ხელისუფლებას და პარლამენტს დაეკისრება.

საზოგადოება „არჩევნები“ მოუწოდებს ყველას — ხელისუფლებას, პარლამენტს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს, პიროვნებებს, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობას — არ იყვნენ ინერტულები საქართველოს ბედ-იღბლის გადაწყვეტის საქმეში და არ დაუშვან არჩევნების გადადება.

საზოგადოება „არჩევნები“.

ხვალ ბზობაა!

ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაული

გილოცავთ!

გივი კიკვაძის ფოტო.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„მსოფლიოში ბავშვთა მოტაცებასთან დაკავშირებული სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის საერთაშორისო კონვენციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა ჰააგის საერთაშორისო კონვენციას „მსოფლიოში ბავშვთა მოტაცებასთან დაკავშირებული სამოქალაქო ასპექტების შესახებ“.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ კონვენციასთან შეერთების თაობაზე აცნობოს ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 24 თებერვალი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ

ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა ვითარებამ მკვეთრად გააუარესა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქმე, ხოლო ქართული სარესტავრაციო სკოლა და სამსახური მოშლის საშიშროების წინაშე დააყენა.

ქართული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა გადარჩენის, მათი დაცვისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო არის ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმეში სახელმწიფო პოლიტიკას და მისი გადაწყვეტილებები და მითითებები ამ სფეროში სავალდებულოა ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებისა და კერძო პირისათვის.

2. დადგინდეს, რომ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე განხორციელებული ყველა სარესტავრაციო სამუშაოების გენერალური დამკვეთი და შემსრულებელი არის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო. ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებმა არ დაუშვან ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე არავითარი სამუშაოების ანაზღაურება ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ან მასთან შეთანხმებული სათანადო დოკუმენტაციის გარეშე.

3. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები მიეკუთვნონ იმ ობიექტების რიცხვს, რომელთა პრივატიზება აკრძალულია.

4. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ 1995 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს დღევანდელობისათვის მისადაგებული საქართველოს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმის განვითარების კონცეფცია.

5. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ რესპუბლიკის პარლამენტის განსახილველად მზადდება კანონპროექტი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების შესახებ.

6. დროებით, პარლამენტის მიერ კანონის მიღებამდე, არ დაიბეგროს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებებითა და სხვა სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც მოხმარდება უშუალოდ ძეგლთა დაცვის საქმეს.

7. ნება დაერთოს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს, როგორც სარესტავრაციო სამუშაოთა გენერალურ დამკვეთს, საკუთარი საწარმოო ბაზის განვითარებისათვის გამოიყენოს მისთვის ყოველწლიურად გამოყოფილი ასიგნებების 10 პროცენტი.

8. დაწესდეს, რომ ძეგლთა დაცვის სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამუშაოთა განხორციელებისათვის წლის განმავლობაში ობიექტური მიზეზების გამო, გამოუყენებელი ასიგნებანი გარდამავალია და რჩება სამმართველოს.

9. საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა ისტორიისა და კულტურის ძეგლების ძარცვისა და დაზიანების ყოველ ფაქტთან დაკავშირებით მიიღონ უმკაცრესი ზომები.

10. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხელი შეუწყოს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს დაამყაროს ურთიერთობა ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების სათანადო სამსახურებთან, უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მდებარე ქართული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლის საქმეში საქართველოს აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

11. საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოში ტურიზმის განვითარების გეგმების შედგენისა და მარშრუტების დადგენის დროს გაითვალისწინოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს წინადადებები და რეკომენდაციები.

12. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა ნება დართოს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს საჭიროებისამებრ მოახდინოს ეროვნული ვალუტის კონვერტირება სათანადო მოთხოვნის საფუძველზე სპეციფიკური და დეფიციტური მასალების შესაძენად.

13. ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა შექმნან სტაბილური ფონდები კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმიანობის დასაფინანსებლად.

14. რესპუბლიკის რეგიონალური მმართველობის ორგანოებმა:

შექმნან ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციები, რომლებიც მეთვალყურეობას გაუწევენ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობასა და ანგარიშვალდებული იქნებიან ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს წინაშე.

— აღმოუჩინონ დახმარება ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ორგანიზაციებს დამხმარე მეურნეობების შექმნაში თანამშრომელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

15. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ სათანადო გაანგარიშების საფუძველზე ყოველწლიურად გამოუყოს უცხოური ვალუტა ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს ფოტოარქივების რეგენერაციისათვის საჭირო მასალების შესაძენად და ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს „იკომოსის“ საქართველოს კომიტეტს ქართული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა პოპულარიზაციისა და საწევრო შენატანებისათვის.

16. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, მმართველობის ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო კომერციულმა ბანკებმა მათ განკარგულებაში არსებული ფინანსური სახსრების, კრედიტების, უცხოური ინვესტიციების გაცემისას უპირატესობა მიანიჭონ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებმაც თავიანთი საქველმოქმედო საქმიანობით მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ძეგლთა დაცვის საქმეს.

17. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოსათვის გამოყოფილი სახსრები ასახოს უშუალოდ, ცალკე სტრიქონით;

— დაავალოს ნავთობპროდუქტების კონცერნს რეგულარულად გამოუყოს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს საწვავ-საპოხი მასალა სახელმწიფოს მიერ მისთვის ყოველწლიურად გამოყოფილ ასიგნებათა 25 პროცენტის ოდენობით;

— გაითვალისწინოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მიზნობრივი უზრუნველყოფა;

— უახლოეს პერიოდში გამოუყოს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს „იკარუსის“ ან „ლაზის“ მარკის ერთი ავტობუსი;

— ნება დართოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სისტემაში შემავალ ორგანიზაციებს სამივლინებო ხარჯები გასწიონ მთავარი სამმართველოს მიერ მათთვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, ქვეყანაში რეალურად მოქმედი ფასების გათვალისწინებით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 12 აპრილი.

მერვე სვეტი

საუბარი რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან

13 აპრილს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფერეიდუნ ჰაჟიბინი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აბდულა ზიფანი.

საუბარი შეეხო ორი ქვეყნის ისტორიულ და კულტურულ კონტაქტებს, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების საკითხებს.

ბატონმა აბდულა ზიფანმა აღნიშნა, რომ ირანის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ორ ქვეყანას შორის ბიზნესის განვითარების საკითხში ყველა დაბრკოლების გადალახვა.

საუბარში აღინიშნა საქართველოსა და ირანის რესპუბლიკას შორის ტრანსპორტის განვითარების აუცილებლობა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახალგაზრდა სპეციალისტთა და სტუდენტთა გაცვლა.

საუბრის დასასრულს ბატონმა ოთარ ფაცაციამ აღნიშნა, რომ ირანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტი ირან-საქართველოს ურთიერთობის შემდგომი განვითარების პროცესში ისტორიული ნაბიჯია.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

რუსული რუბლის კურსმა კვლავ მოიმატა

12 აპრილს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართულ მორიგ სავალუტო ვაჭრობაზე ამერიკული დოლარის კურსი წინანდელ დონეზე დარჩა — 1.300 ათასი კუპონი. რუსული რუბლის კურსი კი ორშაბათს გამართული ვაჭრობის შემდეგ 18 პუნქტით გაიზარდა და შეადგინა 265 კუპონი.

გაზი შეგვიწყდება?

13 აპრილს საქგაზის დეპარტამენტს თურქმენეთიდან მოუვიდა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ თურქმენეთი 13 აპრილიდან საქართველოს უწყვეტს 1 მილიონი კუბური მეტრი გაზის მოწოდებას დავალიანების გამო (ამ რაოდენობის გაზი მიეწოდებოდა გარდაბნის თბოელექტროცენტრალს). სადღეისოდ საქართველო იღებს 3 მილიონ კუბურ მეტრს, რომელიც რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ იყიდა. როგორც საქგაზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ თამაზ გაგუამ ბრძანა, ამჟამად თურქმენეთში იმყოფებიან საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც ეწევიან მოლაპარაკებას გაზის ბარტერული მიწოდების შესახებ.

ჟურნალისტური მივლინებით

ბათუმის ეკონომიკურ ზონაში ჩვენს მომავალ შეხვედრებს გაუმარჯოს!

ტრაპიზონის ეკონომიკური ზონის დირექტორი ჰუსეინ ბერიძე.

გასული წლის დამლევს ერთი მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველი ფაქტის მოწმენი გავხდით — რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ბათუმში შეიქმნა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელიც სიკეთეს, ახალ, აქამდე არნახულ ეკონომიკურ აღორძინებას ჰპირდება არა მარტო აჭარას, არამედ მთლიანად საქართველოს.

უკვე კარგა ხანია ამ ეკონომიკური ზონის სამართლებრივ-ეკონომიკური ბაზის შექმნაზე მუშაობს აჭარის უზენაესი საბჭოს მიერ საგანგებოდ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც ამ დღეებში სათანადო პროექტს წარუდგენს რესპუბლიკის მთავრობას დასამტკიცებლად.

მართლაც, სერიოზული გამოცდის წინაშე დგას დღეს ბათუმი, აჭარა, მთელი საქართველო... როგორც საერთაშორისო რანგის სპეციალისტები აღნიშნავენ, ბათუმის ეკონომიკური ზონა სულ რაღაც ერთ წელიწადში მილიარდი დოლარის მოგებას მისცემს საქართველოს... შემდგომ კი ეს ციფრი მნიშვნელოვნად, უფრო სწორად, არითმეტიკული პროგრესიით შეიძლება გაიზარდოს, რადგან...

ბათუმი, მისი საზღვაო ნავსადგური თავისი ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით, მისასვლელ-მისადგომი კომუნიკაციებით, ერთადერთი ყველაზე ხელსაყრელი ადგილია შავ ზღვაზე, რომელიც თავისკენ მიიზიდავს როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან შემოსულ ტრანსპორტს. აქედან გამომდინარე იგი შეიძლება იქცეს აზია-ევროპის კორიდორის ე. წ. გადამანაწილებელ ბაზად, სადაც თავს მოიყრის უამრავი საქონელი.

ბატონი ასლან აბაშიძე, რომლის დაუშრეტელი ენერგიისა და ძალისხმევის შედეგად გვირგვინი დაედგა ამ საქმეს, ამტკიცებს, რომ ისეთი ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, როგორიცაა ბათუმში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, ჯერ არ მიუღია საქართველოს ხელისუფლებას.

ბათუმი თავის დროზე სწორედ „პორტო-ფრანკოს“ — თავისუფალი ეკონომიკური ზონის შედეგად იქცა თანამედროვე ევროპულ ქალაქად. ეს იყო თითქმის ერთი საუკუნის წინათ... დღეს კი სულ სხვა მსოფლიო ინფრასტრუქტურაა, სხვა შესაძლებლობანი. ალბათ, ამიტომაც აქვთ სპეციალისტებს სწრაფი უკუგების იმედი. იმედი კი დღეს ისეთი რამ გახლავთ, რომელიც ჰაერზე მეტად სჭირდება თითოეულ ჩვენთაგანს, მთელ საქართველოს. მაგრამ ერთიც არის: ამ იმედისა და ჩანაფიქრის განხორციელება მარტო ბათუმის თუ აჭარაში მყოფ „კეთილ ძიებზე“, ადამიანებზე არ არის დამოკიდებული... ამ საქმეში უნდა ჩაერთოს რესპუბლიკის მთელი სამთავრობო სტრუქტურები, სამინისტროები, უწყებები, ცალკეული კორპორაციები და ფირმები, რათა საერთო აღორძინებისაკენ მიმავალ გზაზე ჩამოწოლილი უზარმაზარი და უმძიმესი ლოდი ერთად გადავაგოროთ და გავუხსნათ გზა იმათ, ვინც გამოთქვამს სურვილს თავის საქმესთან ერთად საქართველოს საქმეც აკეთოს, დაგვეხმაროს, მხარში დაგვიდგეს ამ გაჭირვების ჟამს.

ცხადია, ასეთ დროს თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფუნქციონირების, მისი მუშაობის პრინციპების გაცნობა ჩვენი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომაც გადავწყვიტე ტრაპიზონში ყოფნისას ვწვეოდი ეკონომიკური ზონის დირექტორს, ჩვენებური წარმომავლობის კაცს — ჰუსეინ ბერიძეს და რამდენიმე კითხვით მიმემართა მისთვის.

მეგობრები გვირჩევენ

— **ბატონო ჰუსეინ, ვიცი, რომ თქვენ იყავით პირველი სპეციალისტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა პირველ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას მერსინში. დღეს იგი ერთ-ერთი უძლიერესია თურქეთში. თქვენვე ჩამოაყალიბეთ ტრაპიზონის ეკონომიკური ზონაც. რას გვეტყვით, რას ნიშნავს თავად ეს ტერმინი და როგორი შინაარსია მასში ჩადებული?**

— დღეს მსოფლიოში 600-მდე თავისუფალი ეკონომიკური (სავაჭრო) ზონა არსებობს, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საქმიანობის სპეციფიკურობის თვალსაზრისით. ეკონომიკური ზონა შეიძლება იყოს ორნაირი: ერთი — საწარმოო მიმართულების, მეორე კი — სავაჭრო. აქამდე თურქეთში 5 ეკონომიკური ზონა იყო, ახლახან გაიხსნა მეექვსე — სტამბოლში, რომელიც ძირითადად ტყავეულით ვაჭრობს. იზმირის ეკონომიკურ ზონაში კი ელექტრონიკაა განთავსებული. სხვა ზონები უფრო შერეული ხასიათისაა — აქ წარმოებაც არის და ვაჭრობაც. ტრაპიზონის ზონა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, — უფრო სავაჭრო მიმართულებისაა.

ცხადია, თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელშიც წარმოებაც არის, დიდ ფართობს მოითხოვს. მაგალითად, იზმირის ზონა 2 მილიონ 200 ათას კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული. ასევე დიდ ფართობებზეა განლაგებული მერსინისა და ანტალიის ეკონომიკური ზონები. ყველაზე პატარა ფართობიანი ზონა სტამბოლისაა. მას ოდნავ აჭარბებს ტრაპიზონისა.

ისტორია ასეთი გახლავთ. 1986 წელს დაიწყო თურქეთის ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება. პირველი მერსინი იყო. ვიდრე მას სათავეში ჩავუდგებოდი, საზღვარგარეთ ვეცნობოდი ამ საქმეს, ვსწავლობდი მუშაობის გამოცდილებას. მოვამზადე სათანადო დოკუმენტაცია. შევიმუშავე ზონის მუშაობის წესდება, ერთი სიტყვით, ასე დავიწყეთ. შემდეგ, როგორც ამ მხარის კაცს, მთხოვეს ტრაპიზონის ზონას ჩავდგომოდი სათავეში. ცხადია, აქეთ გამომიწია გულმა.

— **როგორც იცით, ჩვენმა მთავრობამ გადაწყვიტა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა ბათუმში. ცხადია, ახლა ჩვენი მთელი გულისყური და მუშაობა იქით არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მალე შევუდგეთ ამ საქმეს, მზადდება შესაბამისი კანონპროექტები. როგორც ვიცი, თქვენ არაერთ წინააღმდეგობას წააწყდით ამ გზაზე. თუ შეიძლება გვითხარით, რა იყო და არის ყველაზე მთავარი და განმსაზღვრელი ამ მიმართებით?**

— კარგი საქმე წამოიწყეთ: მიკვირდა კიდეც, აქამდე რატომ დააყოვნეთ. რაც შეეხება წინააღმდეგობებსა და შეცდომებს, რა თქმა უნდა, იყო და ახლაც არის. საქმე ის გახლავთ, რომ თურქეთში ჯერ ეკონომიკური ზონები შევქმენით, ხოლო შემდეგ კი, კარგა ხნის მოგვიანებით, მივიღეთ კანონები ამ ზონების მუშაობის შესახებ. ბიუროკრატიულმა აპარატმა, ცხადია, ბევრი დეტალი არ გაითვალისწინა, რაც დღეს მეტად მძიმე ტვირთად გვაწევს ყველას. მაგალითსაც გეტყვით: აი, ახლა ტრაპიზონის ზონაში გვაქვს დიდი რაოდენობის შაქარი, მაგრამ ვერ ვყიდით, იმიტომ, რომ ხელს გვიშლის ბიუროკრატიული კანონები. მე ამ ზონის საერთო ხელმძღვანელი ვარ, მაგრამ ჩემს ირგვლივ კიდევ სამი ორგანიზაცია და ერთი საქმის მწარმოებელი ფირმაა, რომლებიც სახელმწიფოს დაქვემდებარების სხვადასხვა უწყებებს ემორჩილებიან. ვიდრე ყველას შევუთანხმდები, დიდი დრო გადის... დრო კი ბიზნესში უპირველესი საქონელი გახლავთ.

(დასასრული მე-2 გვ.)



ხმა მიეცით დეპუტატობის კანდიდატს

კაცი საქმით ფასობს

აპოლონ (ჯამბულ) წულაიას!

მარტვილმა კარგად იცის...

რჩეულთა შორის

ხვალ, 16 აპრილს მარტვილის რაიონში გაიმართება საქართველოს პარლამენტის დეპუტატის არჩევნები. კანდიდატთა შორისაა ნახუნაოში დაბადებული და გაზრდილი პროფესიონალი ვეტერინარი ექიმი, მეცნიერი და პრაქტიკოსი, აღიარებული სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი, საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი აპოლონ (ჯამბულ) წულაია.

ამ დღეებში მარტვილელ ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდათ საგანგებო სარეკლამო ბიულეტენი-გაზეთი ენახათ, რომელშიც თვალსაჩინოდ არის დახასიათებული დეპუტატობის კანდიდატი. ჩვენი შესანიშნავი პოეტები მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე და ვენო კალანდია, პროფესორი გუგული გოდერძიშვილი, ჟურნალისტები ლატავრა ჯიაძე, რუსლან რუსია და სპარტაკ ქობულია დამაჯერებლად ასურათხატებენ ჯამბულ წულაიას პროფესიულ და პიროვნულ ღირსებებს, მოქალაქეობრივ მრწამსს. ყველა აღიარებს, რომ ის არის დახვეწილი, ინტელექტუალური, მრავალმხრივი ინტერესების მქონე ადამიანი.

მარტვილელებს, მთელ საქართველოს ძალიან სჭირდება, რომ პარლამენტში სწორედ ასეთი პიროვნება მყავდეს.

სახელმწიფოს მეთაურის დავალებები — კონტროლზე!

„შევარცხვინე თქვენი ლოგიკა!“

ამ ათიოდე წლის წინათ ვინ იფიქრებდა, რომ უკვდავი ლენინის გაწითლებულ-გატკიცინებულ ცხვირ-პირს ანუ ათმანეთიანებს ვაშინგტონისა და ლინკოლნის მწვანე, დაჭმუჭნილ პორტრეტებში ასე ხელაღებით გავცვლიდით.

გავცვალეთ კი არა, ლამის თავი ვანაცვალოთ და ერთმანეთიც მივაყოლოთ. დოლარმა ჩვენს ყოფაში ისეთი საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, რომ უმისოდ დაბადება-გარდაცვალება წარმოუდგენელია.

დაბადებიდან გარდაცვალებამდე კი ადამიანს, ათას წვრილმან-მსხვილმანთან ერთად მიწისქვეშა არხები და სანიტარულ-ტექნიკურ ნაგებობათა სისტემა სჭირდებაო, — დაასკვნა, თბილქალაქპროექტმა და სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების („ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებთათვის მიწის გამოყოფის და ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“) სარეალიზაციოდ მიწის თითოეული მფლობელისაგან 800 დოლარი მოითხოვა. მაგრამ ნურას უკაცრავად! გაერთიანება „იორი-92“ (რომელსაც მელორი ტყეშელაშვილი თავმჯდომარეობდა) ქალაქს ხელიდან დაუსხლტა და გარდაბნის რაიონს „ჩაეხუტა“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მარჯვე ტრიუკმა კეთილმოწყობის ხარჯები საგრძნობლად შეამცირა. დიახ, დედაქალაქელთა მომსახურებისა და კომპაქტურად გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე მათ დასამაგრებლად ანუ კანალიზაცია — გზის მშენებლობის პროექტის დასამუშავებლად თუ სხვა წვრილმანი მომსახურებისათვის გაერთიანებამ სულ რაღაც ორმოცდაათიოდე დოლარი მოითხოვა. —

— როდის განხორციელდება პროექტი? — დაინტერესდნენ ჩადოლარებულები.

— როგორ უნდა გადავიხადოთ? — აფორიაქდნენ ჩაკუპონებულები.

არის გამოსავალი! ბანკში ანგარიში გახსნილია 50 დოლარის კურსის შესაბამის კუპონებზე, რუბლსა და გერმანულ მარკაზეც კი. ხოლო ვინც ფულის ოთხივე ერთეულთან მწყრალად არის, ის უნდა შეურიგდეს საქართველოში კაპიტალიზმის დამკვიდრებას და მოიგებს კიდეც. მის მაგიერ ამ სავალდებულო თანხას ქველმოქმედ-ბიზნესმენთა ჯგუფი გადაიხდის.

„იორი-92“ ღრმა რომ ამოჩნდეს და „დახრჩობად განწირულ“ ათასივე წევრს მაშველი რგოლი ანუ დოლარები დასჭირდეს?

— ვისაც მიწაზე დახარჯული დოლარები არა აქვს, იმას მიწა რად უნდა! ასეთია დოლარნაწვიმარზე ამობიბინებულ თანამემამულეთა აზრი.

სახელმწიფოს მეთაურის დავალებების კონტროლისა და ცენტრალურ მმართველობით ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი — ჰენრი კუპრაშვილი კი გვიმარტავს:

— სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება ითვალისწინებს გამოყოფილი მიწების ათვისებასა და რაციონალურად გამოყენებაში მოსახლეობისათვის ხელშეწყობას. ამიტომაც დაევალათ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტსა და ქალაქების მერიებს, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, ავტობუსების მარშრუტების დანიშვნა გამოყოფილ მიწის ნაკვეთებამდე ქალაქის მოსახლეობის გადასაყვანად.

მერე, სად არის ავტობუსები? საგაზაფხულო სამუშაოები ხომ უკვე დაიწყო? ამ კითხვას ფანტასტიკურ-ოპტიმისტურ პასუხს თავადვე ვაგებებ. — თბილისის მერია ალბათ დისტანციური სასოფლო-სამეურნეო იარაღების შექმნას ელოდება, რომ უფულო-უბენზინო-უტრანსპორტო „მემამულეებს“ თბილისიდან ვარკეთილში საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დამუშავება გაუადვილოს.

ქუთაისის მერიამ კი ეს პრობლემა უახლესი ტექნიკის გამოუყენებლად გადაჭრა. ყოველ შაბათ-კვირას ქუთათურები გამოყოფილ ნაკვეთებამდე ავტობუსებს უფასოდ გადაჰყავთ.

ამიტომაც, მარტო დედაქალაქელებზე გავრცელდება კანონი, რომლის თანახმად საკარმიდამო მიწა ჩამოერთმევა, ვინც აქ პატარა ქოხს მაინც არ ააშენებს, ან უკიდურეს შემთხვევაში დროულად არ შემოღობავს და დაამუშავებს მას.

ასეთ სიტუაციაში კახური ანეკდოტის პერსონაჟი უთუოდ იტყოდა: შევარცხვინე თქვენი ლოგიკა!

ლეილა კოშკაძე.

ენგურს გაღმა-გამოღმა...

ოთხმხრივი ხელშეკრულების შესასრულებლად

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობასა და მის შედეგებზე, ისტორია მომავალში თავის მართალ სიტყვას აუცილებლად იტყვის, მაგრამ დღეს მთავარია ეს კონფლიქტი მშვიდობიანად გადაიჭრას. ამისათვის კი საჭიროა „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“ ოთხმხრივი ხელშეკრულების პუნქტუალური შესრულება. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტით დაიწყო, ფაქტობრივად, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების ძნელი პროცესი.

შეთანხმების თანახმად, კონფლიქტის ზონაში 1994 წ. 15 ივნისიდან შემოვიდნენ რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები. ასევე ამ პროცესში ჩაერთო გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისია 159 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის 1994 წლის 18 ივნისის ბრძანებით შეიქმნა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ქართველ სამხედრო დამკვირვებელთა 60-კაციანი ჯგუფი, რომელიც თავიდან დაბინავდა სოფელ რუხში, ხოლო დღეს განლაგებულია ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში.

ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებლები დროულად შეუდგნენ დაკისრებული ამოცანების შესრულებას. განვლილ პერიოდში სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ძალთა დაშორიშორების, კოდორის ხეობიდან და უსაფრთხოების ზონიდან ქართული შეიარაღებული ფორმირებებისა და საბრძოლო ტექნიკის გაყვანაში. სისტემატურად აკონტროლებს რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ იარაღის, საბრძოლო მასალის, ნარკოტიკული ნივთიერებების, ფეთქებადი საგნების გამოვლენის მიზნით მოქალაქეთა ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებას, შეიარაღებულ ბანდიტურ ფორმირებათა, ჯგუფებისა და პირების დევნა-დაკავებას, მოქალაქეთა ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებას, მათი შემოსვლის, გასვლისა და გადაადგილების უფლების სისწორეს.

საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ 1994 წლის 17 სექტემბერს აფხაზურმა მხარემ დაატყვევა ფოთის ნავსადგურის თევზსაჭერი სეინერის ეკიპაჟის 9 წევრი, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში სოხუმის იზოლიატორში იმყოფებოდნენ. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფმა, სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო ტყვეთა განთავისუფლებაში და 1995 წლის იანვარ-თებერვალში ისინი გაიცვალნენ. 3 აფხაზ და 2 ჩეჩენ ბოევიკზე.

სამხედრო დამკვირვებლებმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებთან. მათი შუამავლობით სამშვიდობო მისიის წარმომადგენლები ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას ტრანსპორტირებაში, ავადმყოფების გადაყვანასა თუ სხვა საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ რაიონის ცხოვრებაში.

განსაკუთრებით გამოირჩევა სოფელ რუხის საკონტროლო-გამშვები პუნქტი, საიდანაც ყოველდღიურად ხდება გალის რაიონის დევნილთა გატარება სასაშვო სისტემით. ბუნებრივია, რომ ჩვენს სამხედრო დამკვირვებლებს დაძაბული მუშაობა უხდებათ, რათა არ მოხდეს ისეთი დარღვევები, რასაც შეიძლება მოჰყვეს უაზრო, ხელოვნური გართულებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში.

სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებენ ახალგაზრდა ოფიცრები: კაპიტნები გია ალასანია, გოჩა ყარმაზანაშვილი და შალვა ხუციშვილი, უფროსი ლეიტენანტები მერაბ კვირკველია, გივი ხუზმიაშვილი, ლეონიდ ეხვაია და როლანდ ტაბატაძე.

დიდი დატვირთვის მიუხედავად, საქართველოს სამხედრო დამკვირვებლები ადგილობრივი მოსახლეობის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დახმარების დროსაც პოულობენ,

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი საკუთარი ინიციატივით ჩართულია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების პროცესში.

როგორც ცხოვრებამ დაგვანახა, დადებით მხარეებთან ერთად, სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფის საქმიანობაში არსებობს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით გამოწვეული უარყოფითი მხარეებიც, სახელდობრ: ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის არსებულ არც ერთ ხელშეკრულებაში არ არის გამოკვეთილი ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელთა როლი. დამკვირვებელთა ჯგუფს არა აქვს ოფიციალური სტატუსი და იგი მოქმედებს მხოლოდ რუსეთის მხარესთან შეთანხმების საფუძველზე. დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებლები მოქმედებენ მხოლოდ ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში და საერთოდ არ არიან წარმოდგენილი სამშვიდობო ძალების გაერთიანებულ შტაბში ქალაქ სოხუმში. ასევე დაშვებული არ არიან გალის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალების საგუშაგოებზე. როგორც ეს გათვალისწინებული იყო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის სათანადო ბრძანებით.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაში ქართველ სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფის აქტიური მონაწილეობა დროის მოთხოვნაა, იგი ამ რთული და საპატიო მისიის ბოლომდე ერთგული იქნება.

დულა აბაშიძე,
საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფის უფროსი, გენერალ-მაიორი.

თანამშრომლობა

ევროკავშირის დახმარება შეუფერხებლად მოედინება

ამ დღეებში საფრანგეთის ელჩი და ევროკავშირის თავმჯდომარის წარმომადგენელი საქართველოში ბერნარ ფასიე (ბატონ ბ. ფასიეს ეს მეორე მოვალეობა იმით არის განპირობებული, რომ, დაწესებული 6-თვიანი ციკლის შესაბამისად, 1995 წლის პირველ ნახევარში ევროკავშირს საფრანგეთი თავმჯდომარეობს — მან ესტაფეტა გერმანიისგან მიიღო და ივლისში ესპანეთს გადასცემს), განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის ევროპული სააგენტოს თავმჯდომარის წარმომადგენელი, ევროკავშირის სასურსათო პროგრამის მთავარი კოორდინატორი ამიერკავკასიაში მარკ გრაი, ევროკომისიის მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი დიმიტრი კოტეტიშვილი, უცხოელი და ქართველი ჟურნალისტები ბათუმსა და ფოთს ეწვივნენ, რათა თვალნათლივ ენახათ, თუ როგორ მიმდინარეობს ევროკავშირის დახმარების პროგრამით შემოსული სასურსათო ტვირთების გადმოცლა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში და მათი შემდგომი გაგზავნა რკინიგზით დანიშნულების ადგილზე. ბათუმში, საქართველოს საზღვაო სანაოსნო დეპარტამენტში, სტუმრებს შეხვდნენ დეპარტამენტის უფროსი ბიჭიკო ვარშანიძე, ბათუმის ნავსადგურის უფროსი ასლან ბოლქვაძე და საქართველოს რკინიგზის ბათუმის ტერიტორიული სამმართველოს უფროსი ნუგზარ ვარშანიძე. გაიმართა ერთობლივი პრესკონფერენცია.

204 მილიონი ეკიუს, ანუ 260 მილიონი დოლარის (აქედან საქართველოს წილი 65 მილიონი ეკიუ, ანუ 80 მილიონი დოლარია) სურსათი — ასეთია ევროკავშირის პროგრამით გათვალისწინებული დახმარება ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და მოლდოვასთვის. ეს 1 მილიონამდე ტონა პროდუქტია, საიდანაც 750 ათასი ტონა საქართველოზე (250 ათასი ტონა), სომხეთსა (200 ათასი ტონა) და აზერბაიჯანზე (300 ათასი ტონა) მოდის. უკვე შემოტანილია 600 ათასი ტონა.

260 მილიონი დოლარის სურსათი (ხორბალი, ჭვავი, ფქვილი, კარაქი, ზეთი) თითქმის ერთი მესამედია იმ საერთო დახმარებისა, რაც ევროკავშირმა გაიღო შარშან მთელი მსოფლიოსათვის. ამ რაოდენობის პროდუქტის დანიშნულების ადგილზე მისატანად საჭიროა 75 გემი და 500 მატარებელი 10000 ვაგონით.

ევროკავშირის ეს პროგრამა, რომლის განხორციელებაც 1994 წლის ნოემბრიდან დაიწყო და მაისში დამთავრდება, ახალგაზრდა რესპუბლიკების თავისუფლების შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა, — თქვა პრესკონფერენციაზე ბატონმა ბ. ფასიემ, — ეს დახმარება რომ არა, საქართველო ამ ზამთარს ვერ გადაიტანდა. მანვე შეუწყო ხელი კუპონის განმტკიცებას. ამავე დროს ევროკავშირს სურდა დაერწმუნებინა ამიერკავკასიის რესპუბლიკები, რომ ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო. ეს ტვირთების გადაზიდვისა და მიღების მაგალითზეც დამტკიცდა: ტვირთები გემებით ჩამოდის საქართველოს ნავსადგურებში, მერე რკინიგზით გაივლის საქართველოს მთელს ტერიტორიას და მიდის დანიშნულებისამებრ. თბილისში, სადაც სარკინიგზო ცენტრია, არიან სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც. ამ პროგრამით, სასურსათო დახმარების გარდა, საქართველო ევროკავშირისაგან სატრანსპორტო გადაზიდვების ღირებულებასაც იღებს.

ბატონმა მ. გრაიმ აღნიშნა, რომ ევროპაში ბევრს არ ეგონა, თუ ევროკავშირის ეს პროგრამა განხორციელდებოდა — თუ საქართველოს სატრანსპორტო საშუალებები ამას შესძლებდნენ, და რჩევას იძლეოდნენ, ტვირთები რუსეთის გავლით გადაეგზავნათო. მაგრამ ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებმა, საქართველოს რკინიგზამ წარმატებით დასძლიეს ამოცანა, გამართულად მუშაობენ. ეს ოპერაცია ამ ნავსადგურების შემდგომი განვითარების გარანტი შეიძლება გახდეს. საქართველო ევროკავშირისაგან უფასოდ იღებს ამ დახმარებას, მას არავისი ვალი არ ედება, არც ფინანსური და არც პოლიტიკური. საქართველომ უკვე მიიღო 180 ათასზე მეტი ტონა ხორბალი და ჭვავი, 15 ათასი ტონა ფქვილი, 5 ათასი ტონა კარაქი და 1 ათასი ტონა ზეთი. იგი მოსახლეობას მიეყიდება კუპონებში, საბაზრო ფასთან შედარებით ბევრად იაფად. ამ გზით შემოსული თანხა საქართველოს მთელი ბიუჯეტის 20 პროცენტია (ხოლო სატრანსპორტო ღირებულების დამატებით — 40 პროცენტი) და შეადგენს საპარტნიორო ფონდს, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებენ საქართველოს მთავრობა და ევროკავშირი. ეს თანხა სოციალური საკითხების მოგვარებას მოხმარდება.

ჟურნალისტთა შეკითხვაზე, შემდგომშიც გაგრძელდება თუ არა საქართველოსათვის ევროკავშირის ასეთი დახმარება, ბატონებმა ბ. ფასიემ და მ. გრაიმ უპასუხეს: ეს პროგრამა დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა დახმარების თხოვნით მიმართა ევროპის სახელმწიფოებს, მაგრამ დახმარება არ შეიძლება მუდმივი, დაუსრულებელი იყოს. სჯობს საქართველომ თვითონ განავითაროს საკუთარი სოფლის მეურნეობა. საეჭვოა, ევროკავშირმა კვლავაც გაიღოს ასეთი თანხები ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის, როცა ამდენი გაჭირვებული ქვეყანაა მსოფლიოში. სხვისი ხელისშემყურეობა არც საქართველოსათვის იქნება სასურველი — ერი საკუთარ თავს, საკუთარ შესაძლებლობებს უნდა დაეყრდნოს. თუ დახმარების პროგრამა კვლავაც გაგრძელდება, სამისოდ ჩვენ ყველაფერს ვილონებთ, ალბათ, მაშინ უკვე ტექნიკური დახმარება იქნება ძირითადი, განსაკუთრებით ტრანსპორტის განვითარებისათვის. ამით მარტო საქართველო კი არა, თვით ევროკავშირია დაინტერესებული.

შეკითხვაზე, აფხაზეთსაც მიეწოდება თუ არა ევროკავშირის სასურსათო დახმარების პროგრამით შემოზიდული პროდუქტი, ევროკავშირის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს დახმარება მოდის მთლიანად საქართველოზე და მოიცავს ორ ასპექტს: საქართველოს გამოეყოფა სურსათის ესა თუ ის რაოდენობა და როგორ უნდა გამოიყენოს ამოგებული თანხა საქართველოს მთავრობამ. ჩამოსული პროდუქტი ნაწილდება იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ამჟამად მოქმედებს საქართველოს იურისდიქცია. მაგრამ ეს პროგრამა არაპირდაპირ სწვდება აფხაზეთსაც. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლება ითვლება იმ ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის პასუხისმგებლად, რაც აფხაზეთს დღეს მიეწოდება რუსეთიდან. ეს გადასახადი თბილისში მოდის და მას მისი გადახდა მოუწევს. ამდენად, ევროკავშირის სასურსათო დახმარების პროგრამის შედეგად განმტკიცებული საქართველოს ბიუჯეტი ამ ვალის გადახდისუნარიანი ხდება.

ბათუმის ნავსადგურში იმ დღეს 3 სამშრალტვირთო გემი იყო ჩამომდგარი ევროკავშირის ტვირთით: „თურგაი კალკავანის“ და „მალინ სის“ ფქვილი ჩამოეტანათ, „ვუდპალს“ — ხორბალი. ნავსადგური მთელი დატვირთვით, აწყობილად მუშაობდა. 272 დოკერ-მექანიზატორი და ასობით რკინიგზელია საქმეში ჩართული. მათ კარგად იციან, რომ ეს ტვირთები ცხოველმყოფელი ჟანგბადია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკებისთვისაც.

ასევე შეუფერხებლად საქმიანობდა ფოთის ნავსადგურიც. სტუმრებმა ქალაქის მერთან რომან მელიასა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებულ საქართველოს ტრანსპორტის მთავარ კოორდინატორ აკაკი ჩხაიძესთან ერთად დაათვალიერეს გემები „ორიონესი“ და „სერგო ზაქარიაძე“, რომელთაც სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის გამოგზავნილი კარაქი და ხორბალი ჩამოეტანათ. მათი დაცლა ორგანიზებულად, მოუცდენლად მიმდინარეობდა. ფოთის ნავსადგურმა უკვე ევროკავშირის პროგრამით შემოსული 30-მდე გემი ჩამოცალა.

სტუმრები დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ნავსადგურები და რკინიგზა ყველაფერს აკეთებენ, რათა შეუფერხებლად მიიღონ დახმარების ტვირთები და იგი ადგილამდე მიიტანონ. ეს ხაზგასმით აღნიშნეს ბატონებმა ბ. ფასიემ და მ. გრაიმ.

ალექსანდრე ალექსიშვილი,
„ხრ“ სპეც. კორ.

ტრაპიზონის ეკონომიკური ზონა.

ბათუმის ნავსადგური — ეკონომიკური ზონა

ბათუმის ეკონომიკურ ზონაში ჩვენს მომავალ შეხვედრებს გაუმარჯოს!

(დასასრული)

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამთავითვე, რომ ასეთი პრინციპებით არ იმუშაოს ბათუმის ეკონომიკურმა ზონამ. იგი ერთი ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში უნდა იყოს და ისე მოქმედებდეს. სხვაგვარად არ გამოდის საქმე.

აი, მაგალითად, ახლა შემოიტანეს განაცხადი, ერთ-ერთი ფირმისა, რომელსაც სურს რუსეთში გაიტანოს საქონელი. მე ვაძლევ თანხმობას. შემდეგ მან კიდევ ოთხი ინსტანცია უნდა გაიაროს. თითოეულ მათგანს თავისი ბიუროკრატიული მიზნები და გადახრები აქვს. ზოგი რას იმიზეზებს, ზოგი რას... ერთი სიტყვით, ფუჭად იხარჯება დიდძალი დრო, როცა შეიძლება ასეთი რამ ერთ ინსტანციაში გადაწყდეს.

ვინ იცის, ანკარაში ჩვენი გენერალური დირექტორის წინაშე რამდენჯერ დავაყენე საკითხი ამის თაობაზე, მაგრამ საქმე ჯერაც ვერ დაძრულა. ეს კი იმიტომ ხდება, რომ გვიან მიღებული კანონმდებლობა საქმის ასე მოწყობას არ ითვალისწინებს. თურქეთში ძალზე ძნელად თუ შეცვლი კანონს — ასეთია ტრადიცია.

ასე რომ, პირველი, რაც უნდა გააკეთოთ — ნორმალური კანონი უნდა შეიმუშაოთ... მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მუშაობის დაწყება.

— ახლა სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ სპეციალისტები, რომლებიც საგანგებოდ სწავლობდნენ ეკონომიკური ზონების მუშაობას, მათ შორის თურქეთშიც. როგორც პრაქტიკოსი ხელმძღვანელი, კიდევ რას ურჩევდით მათ?

— თავისუფალი ეკონომიკური ზონის საქმიანობაში უმთავრესი როლი ეკისრება ე. წ. საქმის მწარმოებელ ფირმას. შეიძლება იგი ორგვაროვანი იყოს. პირველი — სახელმწიფო, მეორე — კერძო. მაგრამ იცოდეთ, კერძო ფირმა უფრო სწრაფად და მობილურად მოქმედებს. აქედან გამომდინარე თავისუფალი ეკონომიკური ზონის საქმის მწარმოებელი ფირმა საგანგებოდ უნდა შეირჩეს. იგი უნდა იყოს ეკონომიკურად ძლიერი, რომელსაც შეეძლება გარკვეული ოდენობის კაპიტალი ჩადოს ზონის საქმიანობაში. ამასთან, მას უნდა ჰქონდეს მაღალი ავტორიტეტი მსოფლიოს ბიზნესის სამყაროში, უნდა ფლობდეს სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებს. და, რაც მთავარია, მარტო თავისი ჯიბისთვის, მოგებისათვის არ უნდა მოქმედებდეს. დაიმახსოვრეთ, ეს არის ყველაზე მთავარი — ფირმა ხელს უნდა უწყობდეს, პირველ რიგში, სხვა ფირმების მიზიდვას ეკონომიკურ ზონაში. ეს მოთხოვნა საგანგებოდ უნდა ჩაიდოს აგრეთვე კონტრაქტში, რომელიც გაფორმდება ასეთ ფირმასთან.

კიდევ ერთ შეცდომაზე, რომელიც ჩვენ დავუშვით ფირმასთან, რომელმაც ზონაში 15 ნაგებობა აგვიშენა: მეთექვსმეტის აშენება რომ შევთავაზოთ, კანონი არ გვაძლევს ამის უფლებას. ამიტომ მშენებელთან კონტრაქტი ისე უნდა გაფორმდეს, რომ შეგვეძლოთ „საჭიროებისამებრ“ ვამუშაოთ იგი.

საერთოდ არ ვამბობ ხოლმე ამას, მაგრამ საქართველოს და ბათუმს ვერ დავუმალავ: იცოდეთ, ყველაფერი, რაც ზონაში აშენდება, მხოლოდ უმაღლესი ხარისხით უნდა გამოირჩეოდეს, რათა შემდგომ პრობლემები არ შეგექმნათ. საგანგებოდ უნდა მიექცეს ყურადღება ამ სამ გადამწყვეტ ფაქტორს, რაზეც ადრე მოგახსენეთ. აი, გახედეთ, რა გააკეთა ჩვენმა საქმის მწარმოებელმა ფირმამ — თავისთვის 5 კარი გაიკეთა ტერმინალში, დანარჩენ ფირმებს კი მხოლოდ ერთი მისცა. რატომ? უნდა რომ შემოსავალი მხოლოდ მისი იყოს. სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგია ის, რომ თვეში 5 მილიონი დოლარის მოგებაზე დავედით, არსინში კი ეს ციფრი 100 მილიონ დოლარს აჭარბებს. მოდი და შეადარე. იქაური საქმის მწარმოებელი ფირმა, მართლაც ფანტასტიკურ შედეგებს აღწევს ამ მიმართებით.

— ბატონო ჰუსეინ, როგორც გამოცდილი კაცი, თქვენ რომ იყოთ ბათუმის ეკონომიკური ზონის მმართველი, უპირველესად რას გააკეთებდით?

— მე, ჩემო ძმაო, ახლა სამსუნის ზონის მმართველობას მთავაზობენ, მალე ასეთივე ზონები გაიხსნება რიზეში, მთელ სანაპიროზე, ასე რომ, თქვენ დიდი ოპერატიულობა გმართებთ. ისე კი, ბათუმში ჭკვიან ხალხს რა გამოლევს. მითუმეტეს ისეთი ხელმძღვანელის ხელში, როგორიც თქვენი ასლან აბაშიძეა. მაგრამ მე მაინც ისე ვიტყვი, როგორც ვიტყოდი მაშინ, ჩემთვის რომ შემოეთავაზებინათ ასეთი თანამდებობა: ბათუმს ყველა პარამეტრი გააჩნია თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის. ზღვა, ნავსადგური, რკინიგზა, სახმელეთო გზები, აეროპორტი. იგი აზიისა და ევროპის შემაერთებელ ცენტრში მდებარეობს, რაც დიდ პერსპექტივებს უსახავს. ასე რომ, თავისი პოტენციური შესაძლებლობებით იგი თურქეთის ყველა ეკონომიკურ ზონას აჭარბებს. ახლა მთელი თქვენი ქვეყნის უმთავრესი საზრუნავი უნდა გახდეს აქ შემოსული ფირმების, მათი კაპიტალის, საქონლის, ფასეულობათა დაცვა. ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ მსოფლიო დარწმუნდეს თქვენს გარანტიებში. პირველად კი იმას გავაკეთებდი, რომ გამოვნახავდი მსოფლიოში ყველაზე გავლენიან საქმის მწარმოებელ ფირმას, რომელსაც ჩავაბარებდი ეკონომიკური ზონის მართვას... ვფიქრობ, თქვენს ხელმძღვანელობას არ გაუჭირდება ასეთი ფორმის გამოძებნა. ოღონდ ერთი მთავარი: ამ ფირმას ეკონომიკურ ზონებში მუშაობის უდიდესი გამოცდილება უნდა ჰქონდეს. მაშინ მსოფლიოს ათეულობით ფირმა დაიძრება ბათუმისაკენ. მე პირადად შემიძლია ჩემს საქართველოს 15 ცნობილი ფირმა ჩამოვუყვანო სათანამშრომლოდ. ეს თურქეთში ძალზე ცნობილი ფირმებია. ყველა რაღაცას შემოიტანს... დოვლათით აივსება საქართველო. ერთიც უნდა გითხრათ: ფირმას, რომელიც წერს განცხადებას ეკონომიკურ ზონაში თანამშრომლობაზე, ზონის ანგარიშზე შემოაქვს 5-10 ათასი დოლარი... ასეთია წესი. შენზეა ამორჩევის უფლება. თუ უარს ეტყვი, ის 10 ათასი დოლარი მაინც ზონის სარგებლობაში რჩება.

— ამბობენ, რომ ეკონომიკურ ზონებს აქვთ რაღაც განსაკუთრებული მიმზიდველობა. ამიტომაც იტანება მათ ასეულობით ფირმა. რა არის აქ ჩადებული?

— ეს იმიტომ ხდება, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა სახელმწიფოს არ ექვემდებარება, იგი თავისი კანონებით ცხოვრობს. წარმოიდგინეთ, რამდენი ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვა მოუხდება ფირმას, რომელსაც, ვთქვათ, გაუჩნდება ტრაპიზონში რომელიღაც ნაგებობების აშენების სურვილი. ეს 5-6 თვე მაინც გაგრძელდება. მე კი შემიძლია მას მუშაობა ხვალვე დავაწყებინო. აი, ეს გახლავთ ეკონომიკური ზონის პრიორიტეტი: მერე ისიც არის, რომ შემოტანილი საქონელი აქ არ იბეგრება (ამას სახელმწიფოს უხდის საქმის მწარმოებელი ფირმა). ამიტომაც საქონელი იაფია. ფირმის მიერ შემოტანილი საქონლის ღირებულების მთლიანი თანხის 5 პროცენტი სახელმწიფო ხაზინაში შედის.

უცხო ფირმები კი იმიტომ არიან დაინტერესებულ ეკონომიკურ ზონასთან თანამშრომლობით, რომ უპირველესად აქ წინა პლანზე მოდის ნდობის ფაქტორი, ტყუილი და საქმის გაცუდება გამორიცხულია. ფირმა თავად აკეთებს ყველაფერს. ქირაობს მუშახელს, ტრანსპორტს, აფასოებს, ყიდის. ერთი სიტყვით, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, იგი ასობით ადამიანს ასაქმებს და უხდის გასამრჯელოს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტის გათვალისწინებით. ასეთი რამ, ცხადია, ხელს უნდა გაძლევდეთ თქვენ ბათუმშიც, მთელ საქართველოშიც, სადაც, ჯერჯერობით, გაჩერებულია საწარმოები, არის შეზღუდვები, არ მუშაობს ხალხი.

და ბოლოს, კიდევ გავიმეორებ: დაყოვნების დრო არ გაქვთ, უნდა იჩქაროთ, მაგრამ არა ისე, როგორც ამბობენ, „მოჩქარეს მოუგვიანდესო“, არამედ ყველა იმ დეტალის გათვალისწინებით, რაზეც მოგახსენეთ და, ალბათ, თქვენმა სპეციალისტებმაც შეისწავლეს სხვა ეკონომიკური ზონების მაგალითზე.

ჰო, კიდევ ერთი რამ: საქმის მწარმოებელ ფირმას სახელმწიფო სტრუქტურა ირჩევს. როცა ეს მოხდება, ყველა ბათუმისკენ დავიძრებით!

— მაშ ბათუმის ეკონომიკურ ზონაში ჩვენს მომავალ შეხვედრებს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

გია ჭელიძე,
„ხრ“ აჭარის ბიურო

რუსეთის პრესის სარკეში

რა ღირს ოპტიმიზმი?

„მე მომწონს რუსეთში არსებული ვითარება“, — განუცხადა ჟურნალისტებს ბორის ელცინმა.

მაგრამ რუსეთის გაზეთები არ იზიარებენ თავიანთი პრეზიდენტის ოპტიმიზმს, კვლავინდებურად ითვლიან ჩეჩნეთის ომის მსხვერპლთ, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. ნეგატიურად ასახელებენ ბიუჯეტის შესრულებას; ყველას აღელვებს მეშახტეთა გაუთავებელი გაფიცვები; დიდი ამბები ატყდა ფსევდობუდისტური სექტის „აუმ სინრიქეს“ ირგვლივ, და აპელაციით მიმართავენ არა მარტო მთავრობას, არამედ თვით ბუდასაც, რომელიც არასდროს არ მოუწოდებდა ძალადობას, და, როგორც ცნობილია, სხვათა სარწმუნოებისადმი შემწყნარებელი იყო. გაისმის კვლავინდებურად ინტელიგენტური მოწოდებანი სინდისის მოსახმობად, რომელიც დღევანდელი ცხოვრების მთავარ დეფიციტად რჩება, ხოლო ბევრისთვის აბსტრაქტული კატეგორიების თანრიგში მოექცა. ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, ჩვენთვისაც კარგად არის ცნობილი.

დავიწყებ ტარტუდან მოსული საყურადღებო ცნობით, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ მოუწოდა ხალხს ერთ-ერთმა აქტიურმა ეროვნულმა რადიკალმა უკვდავეყოთ ჯოჰარ დუდაევის ხსოვნა, მისი სახელი ეწოდებინათ ერთ-ერთი ქუჩისათვის და გაეკრათ მემორიალური დაფა სახლზე, სადაც დუდაევის ოჯახს დატოვებული აქვს ბინა მას შემდეგ, რაც გენერალი აქ სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის დივიზიას სარდლობდა.

არც იცი, რა იფიქრო: სიცოცხლეშივე მემორიალის დაწესება სიაბლეა, თუ ეს შავბნელი პროგნოზია დუდაევისათვის. მაგრამ, ადგილობრივი პოლიტიკოსები უფრთხიან ესტონეთში დუდაევის, მისი შტაბისა და მისი გვარდიის ნაშთებისათვის თავშესაფრის მიცემის შესაძლებლობას.

„იზვესტია“ „ჩეჩნეთის ომის სიმბოლოდ“ აქვეყნებს საერთო საფლავის, უფრო სწორად — გროზნოს გარეუბანში გათხრილი ტრანშეის შემზარავ ფოტოსურათს, სადაც სამხედროებს მიაქვთ ის გვამები, რომელთა ამოცნობა უკვე შეუძლებელია. აქ ყველანი ერთად წვანან — ჩეჩნები, ინგუშები, რუსები... ჩეჩნეთი თითქოს ერთგვარი საძმო სასაფლაო გახდა.

ამასობაში კი მოსკოვში აცხადებენ, რომ ჩეჩნეთის ომი დამთავრდება გამარჯვების დღისათვის. სხვაგვარად ძნელი იქნება რამეზე ესაუბრო დღესასწაულზე მოწვეულ პრეზიდენტ კლინტონსა და ევროპის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს. დღეს ხომ ისინი ჩეჩნეთს უყურებენ რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვისადმი აუცილებელი საერთაშორისო კონტროლის რაკურსით.

მაგრამ მსოფლიოს მარტოოდენ ეს როდი აფიქრებს. **მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ მკვეთრად დაეცა რუსეთის პრეზიდენტის პოპულარობა და მაქსიმალურად გაძლიერდა შიში რუსეთში ავტორიტარული ან უკიდურესად ნაციონალური რევანშის გამო. და კიდევ ერთი „შეფერხება“ — რუსეთისა და ირანის საქმიანი ურთიერთობა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კრისტოფერი, რომელსაც მხედველობაში აქვს ირანის ბირთვული გარიგება, დარწმუნებულია, რომ „რუსებს თავბედს აწყევლინებს ეს გარიგების დღე“.**

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ზა რუბეჟომს“ მოჰყავს ციტატა ბოსტონის „კრისჩენ საინს მონიტორიდან“, რომელმაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საფუძველზე დაადგინა, რომ ამერიკელთა უმრავლესობა წინააღმდეგია რუსეთის დახმარებისა, ვინაიდან „სახსრები, რომლებიც დახმარების პროგრამის ხაზით მიდის, იფლანგება კორუმპირებული თანამდებობის პირების მიერ“.

პარალელურად, ამერიკელი ფსიქიატრი ჯეროლდ ტოსტი ცდილობს წინასწარ განჭვრიტოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის შემდგომი მოქმედება, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეკვეთით ტესტოგრამებისა და კომპიუტერების მეშვეობით დგება იმ პრეტენდენტთა ლეკალური ფსიქოლოგიური დახასიათებანი, ვინც ერთმანეთს უნდა შეებრძოლოს 1996 წლის რუსეთის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში.

არჩევნების თემას სულ უფრო ინტენსიურად განიხილავენ მათი მოახლოების კვალობაზე. მაგრამ, მაინც რა ფასად დაუჯდება ეს ამომრჩეველს, რომელსაც ჯერაც არ დაუკარგავს არჩევნებისადმი ინტერესი, დღისდღეობით უბრალო ადამიანური ცნობისმოყვარეობის დონეზე რომ იჩენს?! არადა, ცნობისმოყვარეებს გარკვევით აქვთ „საცნობისმოყვარეო“ საზრდო. მაგალითად, რუსეთის მთელი რიგი ცენტრალური გაზეთები არ მალავენ, რომ შესაძლებელია გორბაჩოვის „მეორედ მოსვლა“. ამ შესაძლებლობას უძღვნის ვრცელ სტატიას „როსიისკაია გაზეტა“. მას მიაჩნია, რომ დღესდღეობით გორბაჩოვს დაკარგული აქვს პოლიტიკური გავლენა, მაგრამ არ იცის, ხვალ რა მოხდება. „პრავდა“ იხსენებს გენერალ რუცკოის, რომლის „ჩამოწერა“ ჯერ კიდევ ადრეა. ხოლო „იზვესტიას“ აფიქრებს ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებში იწყებენ გაერთიანებას მოტყუებული მეანაბრენი, რომელთა რიცხვი არაერთ ათეულ მილიონს შეადგენს. „კურანტი“ მშვიდად და დარწმუნებით აჯერებს მკითხველს, რომ აირჩევენ „პატიოსან, სამართლიან, მტკიცე და ჭკვიან რუს მამულიშვილს“, როგორადაც ესახება გაზეთს გ. იავლინსკი.

და, ბოლოს, თვით **ჟირინოვსკი ჟურნალისტებს არწმუნებს, რომ რუსეთს ახლა დაუდგა „გაცილებით უფრო საშიში პერიოდი, ვიდრე იყო თათარ-მონღოლთა ბატონობა, ნაპოლეონის თუ ჰიტლერის შემოსევა“, და მხოლოდ მისი პარტიის გამარჯვებას შეუძლია იხსნას ქვეყანა.**

ამავე დროს რუსეთის პრესა არ ეთანხმება ჟირინოვსკის დათვლის, რომ რუსეთი მსოფლიო სკანდალში ჩაითრია მის ტერიტორიაზე იაპონური სექტა „აუმ სენრიკიუს“ განყოფილების აქტიურმა საქმიანობამ, რომელსაც ხელს უწყობდა უშიშროების საბჭოს მდივანი ოლეგ ლობოვი. იგი, რა თქმა უნდა, ცდილობს თავი გაიმართლოს პრესის ბრალდებებისაგან, და თავად აბრალებს ყველაფერს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სპეცსამსახურებს, რომლებიც ასევე გადაბრალება-გადმობრალებას მიმართავენ.

არის ახალი ამბები დნესტრისპირეთიდან. როგორც „არგუმენტი ი ფაქტი“ წერს, „დამოუკიდებელ“ რაიონში შექმნილ გაჭირვებულ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას მისი ლიდერები ხსნიან „ხალხის მტრების“ ხრიკებით. „სახელმწიფო უშიშროების“ მინისტრმა ვ. შევცოვმა — რიგის „ომონის“ ყოფილმა ოფიცერმა, რომელიც გარეულია ბალტიის ტერიტორიაზე მომხდარ მრავალ დანაშაულობაში, უკვე გახსნა პოლიტიკურ ტუსაღთა და სხვა უკმაყოფილოთა ანგარიში. როგორც გენერალ ლებედს მიაჩნია, შევცოვი და ძმანი მისნი მოქმედებენ რუსეთის კონტრდაზვერვის სამსახურთან შეთანხმებით.

საქართველოს ამ მიმოსახილველ პერიოდშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მე საგანგებოდ გამოვყოფდი „მოსკოვსკაია პრავდის“ გამოსვლას. აქ თავს არ შევაწყენთ „ეროვნება — სეპარატიზმის“ სტატიის შინაარსის მოყოლით. იგი „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაბეჭდა 8 აპრილს, ვიტყვი მხოლოდ, რომ თანდათან ყველაფერი თავის ადგილზე დგება, და საგნებს უწოდებენ თავთავიანთ სახელებს, რაც სულ ცოტა ხნის წინ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის უცხო არ იყო.

ჩვენს „არეულობაზე“ დიდი სიამოვნებით უყვებიან მკითხველს „პრავდა“ და „ვეკი“, თან იხსენიებენ „პოლიტიკურ ვნებებსა“ და საპარლამენტო თავდასხმებს სახელმწიფო მეთაურზე“.

გამოჩნდა კიდევ ერთი დამოუკიდებელი რუსული გაზეთი სახელწოდებით „აბხაზია“, რომელსაც, რატომღაც მოსკოვის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანატში მოუკალათნია. მისი „დამოუკიდებელი რუსეთელი“ რედაქტორი ტ. არშბა წერს: „ჩვენ მუდამ შევამოწმებთ ჩვენს დროს მოსკოვის დროის მიხედვით... ჩვენ მის გვერდით უნდა ვიაროთ, რუსეთის მძლეთამძლე მხარს უნდა დავეყრდნოთ... აფხაზეთის მაგალითით უნდა აშენონ თავიანთი ცხოვრება მსოფლიოს სხვა ერებმა. აფხაზეთის გაკვეთილი — ეს არის პლანეტარული გაკვეთილი.

არ უნდა იყოს საჭირო აფხაზური პლანეტარული განათლების იდეის კომენტირება. საგულისხმოა მეორე რამ — გაზეთის იმავე ნომერში, რატომღაც იხსენებენ ლაკობას სიტყვებს — „ყოველი აფხაზი მიხვდა, რომ რუსეთმა შეიძლება ზურგში ლახვარი ჩაგვცხოს“. იქნებ ამიტომ გამოთქვამენ გაზეთის ავტორები სურვილს, რომ დაიდოს აფხაზეთ-რუსეთის შეთანხმება რუსეთ-ყირიმის შეთანხმებისგვარად (?!). მაგრამ ასეა თუ ისე, აფხაზეთის პლანეტარული გავლენა დაიწყო: „პლანეტის ყველა კუთხეში მიდის წერილები სუვერენული აფხაზეთის მარკებით“, ამაყად აცხადებს გაზეთი.

დასასრულ კი, ტრადიციისამებრ — გადავუხვიოთ პოლიტიკას. იმათ საყურადღებოდ, ვისაც ჯერ კიდევ არ დაუნებებია თავი ჯანდაცვის სამინისტროს გაფრთხილებით, ახლა უკვე ფინანსთა სამინისტროს მიუხედავად, ვინაიდან, თამბაქოს წევა სახიფათოა არა მარტო ჩვენი ჯანმრთელობისათვის, არამედ ჩვენი ჯიბისათვის. მაგრამ საქმე ეხება არა თამბაქოს სიძვირეს, არამედ იმას, თუ რაში იხდიან თამბაქოს მწეველები ფულს. ექსპერტთა მონაცემებით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემოსულ ამერიკულ სიგარეტს თვალით არ უნახავს ამერიკა, მას უშვებენ ევროპის ქვეყნებში, თანაც უპირატესად აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო ამ სიგარეტში კანცეროგენული ნივთიერებების შემცველობა გაცილებით სჭარბობს ამერიკულ სტანდარტებს.

და კიდევ. **რუსეთში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება ფალსიფიცირებული ქართული ღვინოები „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, „მუკუზანი“. გაზეთები წყაროებს არ ასახელებენ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „სამტრესტს“ ამ ღვინოებთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ასე რომ, ჩვენი მეღვინეობის პატრიოტებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ.**

იური მოსეშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან „სოხუმი - ჩემი დიდი სახლი“

სიცოცხლე ყველას უნდოდა

ცხოვრების ფრაგმენტი

ომის დაწყებამდე ორიოდ თვით ადრე მარია „ფსიხუშკაში“ მოათავსეს. ამჯერად არავითარი სერიოზული საბაბი არ ჰქონდა საამისოდ ფსიქიატრ დოროთეს. ვის რას უშავებდა. მარია თითქმის გამოჯანმრთელებულად ითვლებოდა. პერიოდულად კი მკურნალობდა, მაგრამ საავადმყოფოში არ აწვენდნენ. ბოლო დროს ბიბლიოთეკაშიც დაიწყო სიარული. შეგხვდებოდა და ოდნავ დაგიკრავდა თავს. არ გაგიჩერდებოდა, მაგრამ ცოტა ხანში, გაიხედავდი და, უკან მოგხდევდა, მეზობელო, ხომ არაფერი გეწყინა ჩემგან, მეზობელო! არაო, რომ ეტყოდი, მშვიდად გაგეცლებოდა. სხვა მხრივ არაფერი ემჩნეოდა. ის ძნელი პერიოდები ფსიქიატრ დოროთეს დახმარებით გავლილი ჰქონდა. მაშინ კი მართლაც საშიში იყო. შეტევა რომ მოუვლიდა, გაბაწრავდნენ და ისე მიჰყავდათ.

მარია მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლი გახლდათ. მაშინ უკრაინის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა. გერმანელებმა სახლი დაუწვეს და მშობლები დაუხოცეს. ამბობდნენ, მაშინ გაგიჟდაო.

მისი ერთადერთი ქალიშვილი მზარეული ვიოლა მილიციელ კარლოს ცოლი იყო. ადრე, როდესაც მარიამ შეტევა მოუვლიდა, ფაშისტი ვიოლა უნდა დავახრჩოო, გაჰკიოდა. რატომღაც მხოლოდ შვილზე მიიწევდა. არავინ იცოდა, ვინ იყო ვიოლას მამა. რას არ ამბობდნენ... ომის დროს 15 წლის მარია გერმანელებმა გააუპატიურეს და ვიოლა ასე მოევლინა ამ ქვეყანას, ამიტომაც სძულს შვილი, ფაშისტსაც ამიტომ ეძახისო.

მარიას შეტევა რომ მოუვლიდა, ვიოლა საშველად მილიციელ კარლოს უხმობდა. კარლო იქვე, მილიციელთა დასახლებაში ცხოვრობდა. მაშინვე, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, შემთხვევის ადგილზე გაჩნდებოდა ხოლმე, მარიას ძალიან ეშინოდა მილიციელის სამხრეებისა. ეს გადარბენა-გადმორბენა იმით დამთავრდა, რომ კარლომ ვიოლა ცოლად შეირთო. კარლოს დედამ თამარამ ლოყები დაიხოკა, ვიოლას სახლიდან გაგდება დაუპირა, რომ ვერაფერი გააწყო, მიატოვა სახლი, შვილი, მოულოდნელი რძალი და საცხოვრებლად კონდუქტორ ქეთოსთან გადავიდა. ქეთო ერთადერთი ქართველი კონდუქტორი იყო ქალაქში. ერთ ადგილზე დიდხანს არ აჩერებდნენ, დაიწყებდა მუშაობას და ორიოდ თვეში მოხსნიდნენ. მის გამო ავტობუსი გეგმას ვერ ასრულებდა—ნაცნობებს ბილეთის ფულს არ ახდევინებდა. ნაცნობებს კი პატარა ქალაქში, აბა, რა გამოულევდა.

ვიოლა მაიმუნთსაშენის მუშათა სამზარეულოში უმცროს მზარეულად მოეწყო და ქმრის ოჯახსაც ხელები დაიკაპიწა.

ნელ-ნელა მარიას მდგომარეობაც გაუმჯობესდა. ბებია რომ გახდა, თითქოს შვილისკენაც გული მოუბრუნდა. შვილიშვილებზე, ჩემი ქართველებიო, იტყოდა. შეტევა აღარ მოსდიოდა, იყო თავისთვის.

თამარაც ბედს შეურიგდა. ვიოლა დიდებული რძალი გამოდგა. ყოველდღე ჩუმად მივიდოდა და თამარას და ქეთოს აივანზე ქვაბით სადილს შემოუდგამდა. თამარა ერთხანს ეჭვით უყურებდა ამ სადილებს, მაიმუნთსაშენში მუშაობს, მაიმუნების საჭმელი ხომ არ მოაქვსო. ქეთოს, ხელმოკლეობის გამო ეჭვებისთვის არ ეცალა, დაჯდებოდა და გემრიელად შეექცეოდა, თან თამარას ამშვიდებდა, ვიოლას დედამისთანაც ეს საჭმელი მიაქვსო.

საღამოს ქეთო ვიოლას ქვაბს დაუბრუნებდა და ორივეს სახელით მადლობას მოახსენებდა, რა მოჰკლავს მარიას, ასეთი ღვთისნიერი რომ ჰყავხარო, დააყოლებდა.

ომის დაწყებამდე მარიას საშინელი სიზმრები დასჩემდა: თითქოს სოხუმი იწვოდა, ინგრეოდა შენობები, იხოცებოდა ხალხი. ყვირილით წამოიჭრებოდა ლოგინიდან და დოროთეს სახლში მირბოდა. ფსიქიატრის ცოლი გულიკო დაამშვიდებდა, სავარძელში ჩასვამდა, რაღაც მიქსტურას დაალევინებდა. დოროთე რეცეპტს გამოწერდა, წამლების დოზას გაუორმაგებდა. გადაყლაპავდა წამლებს მარია, დაიძინებდა და... ისევ დაფეთებული წამოიჭრებოდა — დაბომბილი სოხუმი და დახოცილი სოხუმლები ესიზმრებოდა. ყვიროდა, ტიროდა, შველას ითხოვდა.

იმ დღეს, მარიამ რომ მოაკივლა, დოროთე ეზოში ვენახს წამლავდა.

—დოროთე, — სულს ვერ ითქვამს მარია, — დაიღუპები, აუცილებლად დაიღუპები, თუ ამ ქალაქიდან არ წახვალ. ორივენი დაბომბვაში მოუყვებით. ცხადად ვნახე ყველაფერი სიზმარში, ცხადად ვნახე, თქვენთან ერთად სხვებიც, მაგრამ აღარ მახსოვს...

დოროთე არ უსმენს, აუღელვებელი სახით ალურჯებს ვენახს. მარია ბაღის ბილიკთან ჩამოჯდა და ლოცულობს: — ღმერთო დიდებულო, შენ დაიფარე ეს პატიოსანი ცოლ-ქმარი. ნუ შემასწრებ ამათ სიკვდილს. ბევრი სიკეთე გაუკეთებიათ ჩემთვის, ღმერთო, ცოდვა იქნება ამათი სიკვდილი. შენ დაიფარე დოროთე და გულიკო...

დოროთე ხმას არ იღებს. აშკარად ეტყობა, ბრაზობს. როგორც იქნა მორჩა საქმეს. ხელები დაიბანა. შინ შევიდა და საავადმყოფოდან თეთრხალათიანთა ბრიგადა გამოიძახა.

მარია ისე წაიყვანეს, როგორც ადრე, შეტევების დროს მიჰყავდათ. წინააღმდეგობა რომ გაუწია, ზეწარში გაახვიეს და მანქანაში შედეს. ერთი კი გამოჰყო თავი ფანჯრიდან და ხმაურზე შეგროვილ მეზობლებს გასძახა: — მეზობლებო, ხომ არაფერი გეწყინათ ჩემგან, მეზობლებო!

ეწყინათ მეზობლებს, ოღონდ მარიასგან კი არა, დოროთესგან ეწყინათ ასეთი უგულობა. სთხოვეს, დააბრუნე, სიზმარს ხედავს, რომ არაფერს აშავებსო. დოროთე გაკერპდა, ჩემი საქმისა მე ვიცი, მაგისი ადგილი იქ არისო,— თქვა და ვერ გადაათქმევინეს.

საავადმყოფოს ერთი ჩიკორა მძღოლი ჰყავდა, დოროთეს ბიჭს ეძახდნენ. ფსიქიატრიული ქალაქგარეთ იყო. უპირდათ მეზობლებს იმსიშორეზე სიარული და დოროთეს ბიჭი გაიშუამავლეს. ხან ერთი გაატანდა მარიასთან მოსაკითხს, ხან მეორე... ერთ-ორჯერ ქეთომ და თამარამ ინახულეს. შეწუხებულები დაბრუნდნენ, ცუდად თითქოს არ არის, მაგრამ მახსოვრობა სულ დაკარგვია, სადილებს რომ ვუგზავნით, არ ახსოვსო.

ერთხელაც მოვიდა დოროთეს ბიჭი და მეზობლებს უთხრა, მარიამ ცოტა შავი ღვინო გთხოვათ, მომენატრაო. გაატანეს ღვინოც. მაგრამ აფთიაქარ გოგუცას ეჭვი შეეპარა, ეს ბიჭი არ გვატყუებდესო. შესამოწმებლად სამნი გამოყვეს, თან შეეცადნენ „კომისია“ „ინტერნაციონალური“ ყოფილიყო: ქართველი, აფხაზი, რუსი. ემა ხიონიდმა, უბანში ხუთი ბერძენი ვცხოვრობთ, ჩვენგანაც შეგვერჩიათ ვინმეო. მერე მათ ლიზა ამბარცუმიანიც დაემატა და საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია გაეშურა დოროთეს ბიჭის კეთილსინდისიერების შესამოწმებლად. იმ დროს მიუსწრეს, როცა საავადმყოფოსთან ახლოს, მინდორზე, ძმაკაცებთან ერთად ქეიფობდა. ლიდა აბუხბამ თავისი შებოლილი სულგუნი იცნო, აფთიაქარმა გოგუცამ ჩემი შებრაწული ქათამი სხვისაში როგორ შემეშლებაო, ნინა ვლასოვას ტკბილეულს ხომ ისედაც ყველა ცნობდა. მოკლედ, დოროთეს ბიჭი ფაქტზე დაიჭირეს. ერთი პირობა კი იუარა, საჭმელი ყველა ერთმანეთს ჰგავს, აგერ რესტორნიდან ამოვიტანეო, მაგრამ არ გაუვიდა. შეწუხდნენ მეზობლები, ამდენხანს როგორ არ შევამოწმეთ, თურმე ვის ვუგზავნიდით სადილებსო.

დამავიწყდა მეთქვა, რომ სადილების გაგზავნა დოროთეს უჩუმრად ხდებოდა. მეტად მკაცრი დისციპლინა ჰქონდა, ავადმყოფებს ზედმეტი ჭამის უფლებას არ აძლევდა, მკურნალობისთვის ასეა საჭიროო, მენიუს შეცვლას ვერავინ გაბედავდა. გამოიდო თავი დოროთეს ბიჭმა, აბა რა გეგონათო, დისციპლინის მომხრე ვარ და სულ ძალით ვჭამდი იმ თქვენს სადილებს, ავადმყოფებისათვის ზიანი რომ არ მიმეყენებინაო.

ნირწამხდარი დაბრუნდა უკან „კომისია“. ეთქვათ დოროთესთვის... მისი დაქუხებისა შეეშინდათ. სხვა ვერაფერი მოიფიქრეს და დოროთეს ბიჭს სალამი დაუძვირეს, ყველამ — დიდმა თუ პატარამ. შეწუხდა. კეთილი ბიჭი იყო. ხუმრობა და ქეიფი უყვარდა, თორემ ბოროტებით არ მოსულა. ისევ თვითონ გამოასწორა მდგომარეობა. ერთ დღეს უბანს მარიას წერილი მოუტანა, დოროთეს ბიჭს შეურიგდით, — ძალიან განიცდისო; წაჩხუბება არ არის ლამაზი, ეს ჩვენს კარგ უბანს არ ეკადრებაო; იხუმრა ახალგაზრდა კაცმა, ისეთი რა მოხდაო. ერთი სიტყვით, მეტად ჭკვიანური წერილი იყო. მარიას აჩხა-ბაჩხა კალიგრაფია რომ არა, არც ამას დაიჯერებდნენ. იწერებოდა, ზეგ გამომწერენ და დოროთეს ბიჭი სახლში მომიყვანსო.

კონდუქტორმა ქეთომ თქვა, ზეგამდე სახლი კარგად დავულაგოთ, სულ დავაწკრიალოთ იქაურობა, მარიას სისუფთავე უყვარსო.

თამარამ, იქნებ მარიას ეზოში ერთი ლაზათიანი სუფრა გავშალოთ, ცუდი სიზმრებისგან განკურნებულა, თურმე უსიზმროდ იძინებს და იღვიძებს, ღირს აღნიშნადო.

ეს წინადადება ყველამ აიტაცა. დოროთეს ბიჭმა, ღვინო ჩემზე იყოსო.

ის დღეც გათენდა. იქნებოდა ასე, თორმეტი საათი. ლიდა აბუხბა და მილიციელი კარლო სიცილ-სიცილით შლიდნენ ფსონის სუფრას, დანარჩენებიც იქვე ფაციფუცობდნენ, აქოშინებული შემოვარდა დოროთეს ბიჭი, თქვენ რა, ჭურში ხომ არ ზიხართ, რა დროს სუფრის გაშლაა, ომი დაიწყოო. ყურადღება არავის მიუქცევია. მეორედ რომ იყვირა, ომი დაიწყოო, ემა ხიონიდმა დაუცაცხანა, აღარ შეგვიძლია შენი მატრაბაზობების ატანა. გაგბაწრავთ და იმ „ფსიხუშკაში“ შენ ჩაგსვამთო.

ამ დროს სანაპიროდან რაღაცამ დაიქუხა. მას ავტომატების ჯერი მოჰყვა, ყველანი ადგილზე გაქვავდნენ. ისევ დოროთეს ბიჭმა ამოიღო ხმა. ახლა უკვე ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა, არ ვხუმრობ, მართალს ვამბობ, ქართველებსა და აფხაზებს შორის ომი დაიწყოო. ლიდა აბუხბამ და მილიციელმა კარლომ გაოცებით შეხედეს ერთმანეთს. სანაპიროდან ისევ დაიქუხა. კონდუქტორმა ქეთომ დოროთეს ბიჭს შესტირა, სულ ტყუილს ლაპარაკობ, ბიჭო, და ამ ერთხელ რაღა ასეთი სიმართლე მოგვიტანეო.

იმ დღეს გაგიჟებული დაეძებდნენ სოხუმელები ერთმანეთს— მშობლები შვილებს, შვილები მშობლებს, ყველას ვიღაც ჰყავდა გარეთ — ოჯახის წევრი თუ ახლობელი. იყო ძებნა, წუხილი, ცრემლი, იყო დიდი გაოგნება, რომ მშვიდი ცხოვრება ასე მოულოდნელად დადგა ყირაზე. მაგრამ იყო არანაკლებ დიდი იმედიც, რომ დღეს თუ არა ხვალ, ჰა და ჰა ზეგ, ყველაფერი მოგვარდება. ომის იმ პირველ დღეებში ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა იმას, რაც მერე მოხდა. მეზობლები ისევ ისე მეზობლობდნენ, ლუკმას უყოფდნენ ერთმანეთს.

მარია, საავადმყოფოდან აღარ გამოწერეს, ვაითუ, შიშისაგან შეტევები მოუვიდესო.

...თავი მოიკლაო! საავადმყოფოს სახურავიდან გადმოხტა და თავი მოიკლაო. თავის მოსაკლავად ავიდოდა სახურავზე, აბა, იქ სხვა რა უნდოდაო. ეს მხოლოდ ვარაუდია. მარია თავს არავითარ შემთხვევაში არ მოიკლავდა, ზუსტად ვიცი. მარიას ძმებზე სტეპანსა და ვალოდიაზე დასაწყისშივე მინდოდა მეთქვა და გამომრჩენია. ავად არც ერთი არ ყოფილა, მაგრამ ერთმა სიმთვრალეში და მეორემ სიბრაზეში თავი მოიკლეს. ორივემ —სანადირო თოფით. დოროთემ, თვითმკვლელობა თვითმკვლელის სულიერი ცხოვრების ლოგიკური დასასრულიაო. ამით ის თქვა, ისინიც ავად ყოფილანო. თუმცა სტეპანი და ვალოდია სულით ავადმყოფობის არავითარ ნიშნებს არ ამჟღავნებდნენ. მაშინ მარიაზე ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა. ორმოცი დღე ფეხშიშველი დადიოდა ეკლესიაში და ღმერთს შეწყალებას სთხოვდა თავისი ცოდვილი ძმების გამო. ამბობდა, თავს არაფრით არ მოვიკლავ, ეს დიდი ცოდვააო.

ვიცი, რისთვისაც ავიდოდა სახურავზე. ერთხელ მითხრა, როცა საავადმყოფოში ვარ, დოროთესგან მალულად სახურავზე მივძვრები, იქიდან ქალაქი ხელისგულივით ჩანს და ჩვენს უბანს კარგად ვხედავო. ყველას ეკითხებოდა თურმე, ჩემი უბანი ხომ არ დაუბომბავთო. ამის სანახავად ავიდოდა, იქ კი დაბომბვამ მოუსწრო. თვითონ კი არ გადმოხტა, აფეთქების ტალღამ გადმოისროლა. ასე იქნებოდა.

სოხუმს აუხდა მარიას სიზმრები, აუხდა დოროთესაც.

ექიმის შვილები თბილისში ცხოვრობდნენ, ისე რომ, წასასვლელი საძებარი არ ჰქონდათ, მაგრამ დოროთემ ცოლს გამოუცხადა, აქედან ფეხს არსადაც არ გავადგამო.

ჭიშკართან მიწა გათხარა და თავშესაფარი მოაწყო. საკმაოდ დიდი გამოვიდა, მეზობლებიც იქ აფარებდნენ თავს. იმ დღეს ვერ მოასწრეს, ჩასასვლელად რომ მირბოდნენ, მაშინ დაატყდათ ცეცხლის ნიაღვარი. დაიღუპნენ დოროთე, მისი ცოლი გულიკო და ჩვენი უბნის მარტოხელები— თამარა, ლიდა აბუხბა, კონდუქტორი ქეთო და აფთიაქარი გოგუცა. თამარას შვილი და შვილიშვილები კი ჰყავდა, მაგრამ რაკი ქეთოსთან ცხოვრობდა, მასაც მარტოხელას ეძახდნენ.

ცნობილი ექიმისა და მისი სათნო ცოლის დაღუპვამ მთელ ქალაქს დაწყვიტა გული. დანარჩენებზე თქვეს, რას იზამ, ომია, მარტოხელები კი არა, სავსე ოჯახები ამოწყდნენო.

ჩვენს უბნელებს ძალიან ეწყინათ ასეთი ლაპარაკი. მერე რა, რომ მარტოხელები იყვნენ, სიცოცხლე ყველას უნდოდა!..

მზია გელენავა.

პოეზია უპირველეს ყოვლისა



ჯანსუღ ჩარკვიანი

წიგნიდან „ტანჯული წუთისოფელი“

„ძმანო კახელნო!“

რო ვიტყვი, ვიტყვი, გათავდა, მორჩა, —
ა, ისე, როგორც ილიამ ბრძანა...
ალავერდიდან იყალთო მოჩანს,
გრემით გელათი, არ მოგწონთ განა...

აგეე, მარტვილი; შუამთით გავსცქერთ,
თამარს და რუსთველს, იმ ოქროს ხანას,
აქედანა ვჭვრეტთ, ცხუმსა და ხანძთას,
წმინდა კვირიკეს, არ მოგწონთ განა...

მცხეთის ჯვარი და გუდანი მოჩანს,
თვით ნიკორწმინდის სვეტი და ფრესკა,
რო ვიტყვი, ვიტყვი, გათავდა, მორჩა,
ორბელის ციხე აქედან მზეს გავს.

ჩანს შემოქმედი გუმბათის წვერზე,
ილვიძებს თეთრი გიორგის ძალა,
ლაშარის გორზე მზე დგება ცერზე,
ზარზმის ზარები არ მოგწონთ განა...

აგეე სამება, დიდება ხევის,
ბოლნისის ხატი და უფლის ყანა,
ხვეტიცხოველი ღრუბლებში მღერის,
აქედან მოჩანს, არ მოგწონთ განა...

* * *

ქსნის ციხეც მოჩანს, იკორთაც მოჩანს,
თვალნათლივ მოჩანს ციხე აწყურის,
ხამთავროს თავზე ქართული დროშა,
ბებრის ციხეში არის ჩაწნული.

ხალხნო, აქედან ანანურს ვუმზერთ,
ვუმზერთ ფიტარეთს და ყველაწმინდას,
ალმაშენებლის ვეება გულზე
ხვეტი ნათლისა ჩამოდის ციდან.

გამოჩნდა მტკვარი და აიქოჩრა,
მტკვარი, ლიახვი, ერთმანეთს გვანან,
გონიოს ციხე აქედან მოჩანს,
მამადავითიც, — არ მოგწონთ განა.

მოგვწონს, უშენოდ რთველი არ რთველობს,
შენს ხანთელს ადგილს ღმერთი მიუჩენს,
„ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო“,
მე ვენაცვალე თქვენს ხიჭიტებს!

1994 წ.

ამბავი ქამელეონ ღამურაშვილისა

შენ მეუბნები, ქართველი
არამც და არამც არ ვარო.
შემხედე, ქცევით, ხიფათით,
ქართველს რაითი ვგავარო.

სულ სხვა ჯილაგის კაცი ვარ,
სულ სხვა წესის და ადათის
სხვა გაქანების, სხვა სისხლის,
სხვა პასპორტის და მანდატის.

მინდა აფხაზი ვიქნები,
მინდა გავხდები ჩეჩენი,
მე ჩემი ხასიათი მაქვს,
გაქვს ხასიათი შენ შენი.

მე, როცა მინდა, ვიქცევი
რუსად და რუსი ვიქნები,
შენ შენს შარბათს სვამ, მე ჩემსას —
განსხვავებული ჭიქებით.

რა ქართველობას მაბრალებ,
რა ძალადობა აგიტყდა?
არ მინდა შენთან ყოფნა და
ამაზე მეტი რა გითხრა?

პატივცემულო, ყინტორავ,
პატივცემულო, ყუნტუა,
თქვენ რა უნდა სთქვათ, ტიელნო,
მე ვიტყვი, ნაღდს და უტყუარს:

თუ ქართველობა არ უნდა —
ნეხვიასა და ფუნაშვილს,
სწორედ, ნეხვში და ფუნაში
უნდა უტაკო ულვაში.

ზეიდან, ღმერთმა მაღალმა,
სულ ხუთი სიტყვა მამცნობა:
— ძალაზე ქართველს შეურცხვა,
ქართველობა და კაცობა.

1994 წ.

მარტო — ბიჭი

ბახტრიონის 10,
შვიდი წლის ვახტანგ მელქაძეს.

დღეს, როდესაც სამშობლოში,
დღე ზეიმობს ცოდვის,
როცა ქუჩას განაგებენ
კაცუნები ქონდრის,
ერთი ციდა ბიჭი მოდის,
შესაძენად ცოდნის,
ბახტრიონის ქუჩით მოდის,
რაინდულად მოდის,
წევრი ჩვენი გვარჯილაგის, —
ჩვენი ოქროს ფონდის.
უშიშარი ბიჭი მოდის,
ბიჭი მოდის ლაღად,
გულში უდევს ოქროს ზოდი,
სიყვარულის დამლად.
ღმერთო, ღმერთო, ტოროლასებრ
შეაფრინე მაღლა,
მუხლი მოეც წინაპრისა,
რომ არ იგრძნოს დაღლა,
აუყვავე საქართველო,
ვენახად და ბაღად!

1994 წ.

ლექსი გუდაუთელ „მთავარსარდალს“

დაღვრილი სისხლი
მაინც ცრემლის წყაროდ ხითხითებს,
დგას სამოთხეში ხეპრე ვინმე —
ჯოჯოხეთიდან,
მითოლოგიურ ლექსიკონში
ამოვიკითხე,
„ხეპრე“ ყოფილა —
ამოსული ხოჭო ნეხვიდან.

შენ რომ გგონია სარდალი ხარ,
შენა ხარ ხეპრე,
ხოჭო, ნეხვიდან ამოსული,
ხოჭო, ქვესკნელის,
თქვენ დაისჯებით,
როგორც ჩვენში დახახჯულს შეჰფერს, —
ყველა ცალცალკე, შენ კი ბოლოს, —
შენ, წრის შემკვრელი.

მაინც ვინა ხარ,
სარდალი თუ ნეხვის ხოჭუნა?
ეგ ვიწრო შუბლი, გეფიცები —
არც ღირს სავაზნეთ,
შენ ხარ არავინ
და არავინ ზიხარ მორჭმულად
ხკამზე, რომელიც
არ არსებობს ამ ქვეყანაზე.

არ ვიცი ვინ ხარ,
ის ვიცი, რომ არ ხარ ღმერთიდან,
სანაპიროზე გაწოლილი
გველივით თბები,
მე ისიც ვიცი,
რომ გაქრები აფხაზეთიდან,
ბჟაშ და თუთაშხას —
მზის და მთვარის კეთილი ნებით!

1994 წ.

დიდი ატენი

უძლევი აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს.

ქვის ლორფინებით დახურულო
დიდო ტაძარო,
ჯვრის მკლავებსშორის მოქცეულო
ცეცხლო, ხანძარო.

დიდო ატენო, ფეროვანო,
გუმბათოვანო,
მზეც და მთოვარეც, განედლებულ
სულს აფრთოვანებ.

განკითხვის დღე გვაქვს,
ანგელოსი გამოგვიგზავნე,
შემოჰკარ ძლიერ, მრისხანება
უთხარ ცის ზარებს.

გავსებულია წმინდანებით
შენი სამოთხე,
ზიზღით უმზერენ, ზენა სოფლის
თვალის გამომთხრელს.

მოაქვთ სიმშვიდე, ქრისტეს ლოცვით
მორთულ ფასადებს,
მე ველოდები, მონად როდის
გამომაცხადებს.

მოეც ქართველთა რძე ირმისა —
აკვნის გამთლელო,
უჭირს ქვეყანას, ვეშაპს ებრძვის
კვლავ საქართველო!

1995 წ.

ჩემი ფირმანი

ეს გახლავთ ძმებო, ჩემი ფირმანი —
ვით შოთამ ბრძანა, წიგნი ფიცისა,
ვით ყარამანის და ამირანის —
გული რკინისა, არა ფიცრისა.

სიტყვა დუმილით ვერ გამოვზარდე,
მაგრამ აუგიც ვერ ვთქვი მოყვასის,
ყველა კახპას და ყველა ბოზანდარს,
აქვს გამოხედვა კრავის ტოლფასი.

ვაი მას, ვისაც ნათლად აღმოხდა
სიტყვა ნაღდი და არადსათქმელი,
ვახ, თუ, ცხენიდან ისე ჩამოხტა —
ვერ გააქვავა მზერა ქართველის.

ვაი თუ, დროზე ვერ ამოღვარე
ცრემლი მდუღარე და ღირსეული,
თავსლაფს დაგასხამს, მტერიც, მოყვარეც,
გექნება ღრენა ძაღლისებური.

შენ ჩემო თავო, სად დაძაბუნდი,
როდის ჩაგიქრა მზე სამართლისა,
შეუვალ გულში ჩაჯდა, ჩაბუდდა,
შური და ყინვა ცივი ზამთრისა.

ტანო-ტატანო, ვუმღერ სატანას,
ვგეშავ სხეულს და ვერ იგეშება.
ხოლო სატანა არყით გამტყვრალი —
მილაყუნობს და ფეხი ეშლება.

მე კი, ტანჯული, კვლავ ვიტანჯები,
მოველ ტაძრად და ხრ გამიკარე,
ვარ შენი მონა, შენ გეაჯები,
მართალი სიტყვის გზა გამიკვალე.

1995 წ.

ჩანაწერები

ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავი

რატომ არ ატარებდა სტალინი გმირის ვარსკვლავს

როგორც ცნობილია, 1945 წელს ი. სტალინს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

როდესაც მ. კალინინმა დაჯილდოებულისათვის გადასაცემად კრემლის კაბინეტში ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ მიიტანა, ი. სტალინი, როგორც ამბობენ, მას წარბშეკრული შეხვდა.

„ჩვენი ძველი მეგობრობა რომ არა, — მიუმართნია მას კალინინისათვის, — ამ საგანზე სულ სხვაგვარი საუბარი გვექნებოდა. თქვენ ხომ იცით, დებულების მიხედვით, რისთვის ენიჭებათ გმირის წოდება: უშუალოდ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის!..“

ორდენი და მედალი უგულებოდ ჩამოურთმევია და სეიფში შეუნახავს. შემდგომში ი. სტალინის მკერდზე საბჭოთა კავშირის გმირის მედალი არავის უნახავს, ორდენებს კი ხომ საერთოდ არ ატარებდა!

და აი, ამ რამდენიმე წლის წინათ, ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საკავშირო ტელევიზიამ ოსტანკინოს დიდ დარბაზში ტელემაყურებელთა შეხვედრა გამართა ომის ისტორიკოს, გადამდგარ გენერალ დ. ვოლკოგონოვთან, რომელსაც დღემდე „ობიექტურ“ მსაჯულად მოაქვს თავი. (ეს შეხვედრა საკავშირო ტელევიზიით ვნახე და მოვისმინე).

შეხვედრაზე რომელიღაც მონაწილემ ვოლკოგონოვს ჰკითხა: „რატომ არ ატარებდა ი. სტალინი საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავს?“ ჩვენმა ისტორიკოსმა სერიოზულად უპასუხა: „იმიტომ, რომ სტალინს სურდა ყველასაგან გამორჩეული ყოფილიყო. ასეთი ვარსკვლავი კი სხვა გმირებთან გაათანაბრებდაო“ (ასეთი კაცი ერთ დროს სათავეში ედგა დიდი სამამულო ომის ახალი მრავალტომიანი ისტორიის შემქმნელთა ჯგუფს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა „ობიექტურ“, „მართალ“ ისტორიას შექმნიდა იგი. კიდევ კარგი, რომ ეს შარახვეტია ისტორიკოსი ამ საქმეს მალე ჩამოაშორეს!)

საოცარი ის არის, რომ ათასკაციან დარბაზში, სამწუხაროდ, არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც იკითხავდა: „თუ სტალინს ასეთ ზეკაცად წარმოედგინა საკუთარი თავი, როგორ ახსნით ორ გარემოებას მაინც: პირველი. რატომ ატარებდა სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავს; იგი ხომ მრავალ ათას რიგით ადამიანებსაც ეკიდა მკერდზე? და მეორეც. რატომ მოისროლა კუთხეში მისთვის სპეციალურად შეკერილი გამორჩეული ფორმა გენერალისიმუსისა და მკაცრად დატუქსა ამ საქმის ინიციატორები: „საქმე შემოგელიათ, რომ ამგვარ სისულელეებს („ჩეპუხა“) მიჰყვეთ ხელიო?!.“

სოფისტურად მოაზროვნე ისტორიკოსი, ალბათ, შეეცდებოდა თავის დაძვრენას, მაგრამ საკითხავია — შესძლებდა კი?..

იალტის „სიზმრები“

ლიტფონდის გაგრის შემოქმედებითი სახლში სამოციან წლებში დასასვენებლად ჩამოსულმა მოსკოველმა პოეტმა ფ. ჩუევმა იმ ხანებში მოსკოველთა შორის გავრცელებული ერთობ საინტერესო „ლეგენდა“ გვიამბო.

აი ისიც: აღიარებულია, რომ ომის წლებში ი. სტალინმა ამერიკის პრეზიდენტ ფ. რუზველტზე საკმაოდ შთამბეჭდავი გავლენა მოიპოვა. დიდი სამეულის შეხვედრების დროს მწვავე პრობლემებზე კამათისას იგი თითქმის ყოველთვის ახერხებდა რუზველტის მიმხრობას და „უმცირესობად“ შთენილი ჩერჩილი იძულებული ხდებოდა მათ ნებას დამორჩილებოდა.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იალტის კონფერენციის დღეებში გამოვლინდა. აქ საქმე იქამდეც კი მისულა, რომ ერთ დღეს რუზველტთან მოსული სტალინი ამერიკელ გუშაგს თავისუფლად გაუტარებია, ხოლო იმავე დროს ჩერჩილისათვის ხმლით გადაუღობავს კარები.

ყოველივე ამით „გულნაკლულ“ ჩერჩილს, რუზველტთან მორიგი შეხვედრის დროს, თავისი უკმაყოფილება აშკარად გაუმჟღავნებია, თანაც, ერთი სცენა-ფარსის გათამაშება შეუთავაზებია, რომლითაც სტალინისათვის უნდა მიენიშნებინათ — „შენს ტყავში დაეტიო!“

ეს სცენაც მალე გათამაშდა — მეორე დღესვე. ლივადიის სასახლის წინ, სასეირნო ბილიკზე სამეული გამოჩნდა. შუაში თავის ეტლში მსხდომი რუზველტი, ხოლო მარჯვენა და მარცხენა მხარეს მასთან ერთად სტალინი და ჩერჩილი მოსეირნობდნენ.

ჩერჩილი, თითქოს რაღაც გაახსენდაო, უეცრად შეჩერდა და პარტნიორებს მიმართა: „ბატონებო! წუხელ საოცარი სიზმარი ვიხილე — ვითომც ევროპის უფროსი ვიყავი და მთელი კონტინენტი მე მემორჩილებოდა...“

რუზველტმა ხელი მუხლზე დაირტყა და წამოიძახა: „რა უცნაური დამთხვევაა; მეც ვიხილე მსგავსი სიზმარი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი პლანეტის უფროსი გახლდით“. (ძნელი მისახვედრი როდია ამ პარაბოლა-სიზმრების აზრი: სტალინს ადგილი აღარ დაუტოვეს!).

ეს რომ უთქვამს, რუზველტს სტალინისაკენ ეშმაკურად მზერა გაუპარებია და უკითხავს — „მისტერ სტალინ! თქვენც ხომ არ გინახავთ რაიმე სიზმარი?“

სტალინს დაუყოვნებლივ მიუგია: „წარმოიდგინეთ, სიზმარი მეც ვნახე. მესიზმრა — როცა ამ თანამდებობებზე თქვენი დანიშვნის ბრძანებები წარმომიდგინეს, მე ისინი არ დავამტკიცეო!“ (იგი უკვე მთელი სამყაროს განმგებელია!).

დაუმთავრებია თუ არა თარჯიმანს სტალინის ფრაზის ინგლისურად თარგმნა, ჩერჩილს სახეზე ღიმილი გაჰქრობია, დაბოღმილა და ცალი ყბა ჩამოვარდნია, ხოლო რუზველტს სიცილი წასკდომია და ჩერჩილისათვის მიუმართავს: „უინსტონ! ამაოდ ვცდილობთ: მისტერ სტალინს ვერც გონებამახვილობით და ვერც ენამოსწრებულობით ჩვენ ვერ ვაჯობებთო!“

ფ. ჩუევმა ისიც თქვა, ერთხელ ვ. მოლოტოვს, მოსკოვში მის აგარაკზე ყოფნისას, ყოველივე ეს ვუამბე და ვკითხე: „რას იტყვით, ლეგენდაა ეს თუ ნამდვილი ამბავი?“

„რამდენადაც ამ შეხვედრების შუაგულში მეც გახლდით და ბევრი მსგავსი სიტუაციის მომსწრე ვარ, გეტყვით — ეს ამბავი ლეგენდა არ უნდა იყოსო“! — უპასუხნია ვ. მოლოტოვს.

გიორგი მერკვილაძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

უმაღლესი დონის შეხვედრის მოსამზადებლად

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, მიმდინარე თვის ბოლო კვირაში გაიმართება ნიუ-იორკში ან ვაშინგტონში სახელმწიფო მდივნის უორენ კრისტოფერის შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ანდრია კოზირევთან. საგარეო უწყებათა ხელმძღვანელები განიხილავენ მოსკოვში პრეზიდენტ ბორის ელცინისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბილ კლინტონის შეხვედრის დეტალებს. კლინტონი პრეზიდენტ ელცინის მიწვევით 9 მაისს მოსკოვში მონაწილეობას მიიღებს ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების 50-ე წლისთავის ზეიმში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ვიზიტის გამო შეერთებულ შტატებში, და არა მარტო ამ ქვეყანაში, მწვავე დავა-მიმდინარეობს ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მტკიცედ და არაორაზროვნად განაცხადა, რომ იგი მოსკოვს გაემგზავრება, ვინაიდან რუსეთმა არ უნდა იგრძნოს თავი იზოლაციაში. მისი ვიზიტი მიზნად ისახავს ზოგიერთი უთანხმოების მოწესრიგებას, რომელიც შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის არსებობს, რომ მხედველობაშია მისაღები რუსეთის დიდი წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში, რომელსაც 20 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

სულ უფრო მეტი ნარკოტიკი

აღმოსავლეთ ევროპა და ყოფილი სსრ კავშირი გადაიქცნენ ნარკოტიკების მსოფლიო კონტრაბანდის ერთ-ერთ ძირითად გზაჯვარედინად. ასეთ დასკვნას შეიცავს პარიზში მდებარე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისადმი მეთვალყურეობის გეოპოლიტიკური ცენტრის მოხსენება, რომელიც 12 აპრილს გამოქვეყნდა.

რუსეთში, სადაც იზრდება ნარკოტიკების მოხმარება, ხორციელდება „ნარკოტიკების ინტერკონტინენტური გაცვლის გიგანტური ოპერაციები“. იგი გახდა სატრანზიტო პუნქტი „იტალიისა და რუსეთის მაფიების, კოლუმბიის კარტელების, ცალკეული სახელმწიფოებისა და შორეული აღმოსავლეთის დანაშაულებრივი ორგანიზაციებისათვის“.

იზრდება ოპიუმის ყაყაჩოს ნარგავები უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და უკრაინაში. ნარკოტიკების საერთაშორისო კონტრაბანდა გადის აგრეთვე ბალტიის ქვეყნების, განსაკუთრებით ლიტვის მეშვეობით.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში ნარკოტიკების კონტრაბანდა მჭიდროდ არის დაკავშირებული იარაღის უკანონო ბრუნვასთან. „არის შემთხვევები, როცა იარაღს, მაგალითად, რუსეთის არმიის ყაზარმებიდან უშუალოდ ცვლიან ნარკოტიკებზე და ამით **იარაღდებიან საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ქურთთა ბოევიკები**“, — ნათქვამია მოხსენებაში. ამას იუწყება იტარ-ტასი.

ჩეჩნეთსა და მის ირგვლივ შექმნილი ვითარება

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა, მას შემდეგ რაც მსხვილი დასახლებული პუნქტი სამაშკი დაიკავეს, ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყეს ჩეჩნეთის დასავლეთში ბოევიკების უკანასკნელი გამაგრებული სოფლის ბამუტის წინააღმდეგ. რუსეთის ხელისუფალნი აჩქარებენ საომარი მოქმედების დამთავრებას მოსკოვში 9 მაისს ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების 50-ე წლისთავის ზეიმის აღნიშვნამდე. სამაშკის აღებაში სპეციალურად გაწვრთნილი ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ.

რუსეთის ადამიანის უფლებათა დამცველმა სერგეი კოვალიოვმა დასავლეთის კორესპონდენტს განუცხადა, რომ მიმართვა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კლინტონს, საფრანგეთის პრეზიდენტს მიტერანს, გერმანიის კანცლერს კოლს და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მეიჯორს, გამოიყენონ თავისი ჩამოსვლა მოსკოვში იმისათვის, რომ დაგმონ საომარი მოქმედება ჩეჩნეთში. კოვალიოვმა აღნიშნა, რომ ამჟამად რუსეთის ხელისუფალნი აჩქარებენ და ამკაცრებენ სამხედრო ოპერაციებს მისი მალე დამთავრების მიზნით. დასავლეთის ლიდერების ყოფნა მოსკოვში არ უნდა იყოს რუსეთის ხელისუფალთა ამგვარი მოქმედების გამართლების ფაქტორი.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის განცხადებით, ამჟამად ჩეჩნეთში 4-5 ათასამდე დუდაევის ბოევიკი დანაწევრებულია და მათი მოქმედება მიზნად ისახავს დივერსიული აქციების განხორციელებას. ამავე დროს ჩეჩენთა ბოევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა ასლან მასხადოვმა იტაკქვეშა ტელევიზიით განაცხადა, რომ ჩეჩენთა ომი არ დამთავრებულა, იგი სულ უფრო ღვივდება. საომარი მოქმედება, აღნიშნა მან, ჩეჩნეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყდება, თუ რუსეთის ხელმძღვანელობა ჯარის გადაყვანაზე დათანხმდება და მშვიდობიან მოლაპარაკებას დაიწყებს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ინფორმაცია

„იფრინდა“ გვატყობინებს

დაკავებულია გაქცევის ორგანიზატორი

თბილისი. დაკავებულია თბილისის საგამოძიებო იზოლატორიდან 1994 წლის 14 ივლისს, 19 პატიმრის გაქცევის ორგანიზატორი, საშიში რეციდივისტი, ქალაქ ფოთში მოქმედი ბანდის ხელმძღვანელი გურამ ლაშქარავა. ამის შესახებ საგენტოს კორესპონდენტს აცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა ვალერიან გოგოლაშვილმა. (გაქცევა კარგად ორგანიზებული და განხორციელებული იყო. პატიმარმა დიდი რაოდენობით იარაღი და ხელყუმბარები გადასცა. მოგვიანებით დააკავეს 6 გაქცეული. კიდევ ერთი მოკლეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ორმხრივი სროლის დროს). გაქცევის ორგანიზატორმა გ. ლაშქარავამ შეძლო ქვეყნის ტერიტორიის დატოვება. რეციდივისტი დააპატიმრეს და ხერსონიდან თბილისში გადმოიყვანეს საქართველოსა და უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი ძალისხმევით.

ისევ ვაუჩერები

თბილისი. 12 აპრილს, თბილისში, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ემირ ჯუღელმა საპრივატიზაციო პროგრამა „ტასისის“ (მოქმედებს მსოფლიო ბანკის ეგიდით) მენეჯერ ბატონ ჯასპერ ლარსენთან ერთად გამართა პრესკონფერენცია საქართველოში ვაუჩერიზაციის საკითხებზე. ემირ ჯუღელმა აღნიშნა, რომ ვაუჩერების გაცემის 27 მარტს დაწყებული პროცესი დიდი პროგრამის ნაწილია (პროგრამის პირობებით პრივატიზებული იქნება 750-ზე მეტი ობიექტი). ემირ ჯუღელმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვა, რომ ვაუჩერიზაციის პროცესს თან უნდა ახლდეს მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა, რათა ვაუჩერი არ გაუფასურდეს (უკვე დღეს ვაუჩერები, რომელთა ნომინალური ღირებულება 30 დოლარია, შავ ბაზარზე 5 დოლარად იყიდება). ორი კვირის შემდეგ, ჯუღელის სიტყვებით, გამოქვეყნდება იმ 750 საწარმოს სია, რომელთა აქციონირებაც უნდა მოხდეს, ხოლო 1995 წლის ივნისიდან 1996 წლის ივნისამდე ჩატარდება ზემოდასახელებულ საწარმოთა აუქციონები.

საწვავი „მარცხნივ“

თბილისი. როგორც საგენტოს კორესპონდენტს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს თერჯოლის რაიონის სახელმწიფო საწარმოს „სოფლტექსერვისის“ ორი თანამშრომელი (მათ შორის, ხელმძღვანელი). რევიზიის დროს, აღმოჩნდა 26,8 ტონა დიზელის საწვავის დანაკლისი. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის განკარგულებით, ამ ორგანიზაციამ მიიღო 50 ტონა საწვავი, საიდანაც, როგორც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა გამოარკვიეს, მხოლოდ დაახლოებით 16 ტონა დაიხარჯა დანიშნულებისამებრ. დანარჩენი საწვავი გაიყიდა, როგორც იტყვიან, „მარცხნივ“. ზოგიერთი მონაცემით, საწვავის დამტაცებლებმა მისი რეალიზაციით მიითვისეს 7 მილიონ მანეთზე მეტი. მიმდინარეობს გამოძიება.

საბაჟოს გვერდის ავლით

თბილისი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, 11 აპრილს, სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს ქართული ფირმა „ფერაკის“ ხელმძღვანელი, როგორც გამოირკვა, 1994 წელს ამ ფირმამ, საბაჟოს გვერდის ავლით, ავსტრიიდან საქართველოში შემოიტანა 18817 კგ ლუდი. საბაჟო გადასახადი, რომელიც ლუდის შემოტანისათვის ფირმას უნდა გადაეხადა, 9400 დოლარს შეადგენს. მიმდინარეობს გამოძიება.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

ისე მოხდა, რომ ვანო ოქროწონაშვილმა თავისი ბოლო ინტერვიუ მთლიანად მეჯღანუაშვილის პრობლემას დაუთმო. შეიძლება ეს გადაჭარბებად არც ჩაეთვალოს. სოლომონ ისაკიჩმა რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილში ჩვენი ნაქები ბიზნესმენი ისე ლაზათიანად შეამკო, რომ იგი იძულებული გახდა ეფიქრა, ეაზროვნა და ოპონენტისთვის დასაბუთებული პასუხი გაეცა.

მშიერი მილიონერების დრო წავიდა

— სხვათა შორის, — თქვა ბატონმა ვანომ, — მეჯღანუაშვილის „შემოქმედებას“ საზღვარგარეთვე გავეცანი. ეს მოხდა ერთ ჩვეულებრივ კვირა დღეს, როცა იქაურ პრესასთან ერთად „საქართველოს რესპუბლიკაც“ შემომიტანეს. რა თქმა უნდა, უპირველესად ქართულ გაზეთს გადავხედე. სწორი გითხრათ, პირველად თვალს არც კი დავუჯერე სოლომონ ისაკიჩის დამწუხრებულ სახესა და მის განუყრელ თანამგზავრს („ჩოტკს“) რომ შევხედე, მაგრამ ჩავყევი და რას ვხედავ, ეგ ყურუმსალი (მისი საყვარელი სიტყვაა) თურმე მე არ მაკრიტიკებს?

პირდაპირ ვიტყვი, გამაოცა ოპონენტის გულუბრყვილო მსჯელობამ, მისმა დუხჭირმა, ნათმენმა ცხოვრებამ, რამაც, არ დავმალავ, გულიც დამიმძიმა და გულიანადაც მაცინა. ან როგორ არ გაგეცინება, როცა ნახავ, რომ წინასაუკუნელი ვაჭარი მეოცესაუკუნელ საქვეყნოდ ცნობილ ბიზნესმენს ედავება, თანაც რით მედავება, არ იკითხავთ: მაშინდელი ჩარჩის პუა-გონებით, ძველი, ჟანგმოკიდებული მორალითა და თვალთახედვით.

გაკვირვებულია, მე გვარი ერთხელაც ვერ გამოვიცვალე („ჯლანი“ ვერ ამოვაგდე) და ამან ერთ წელიწადში სამჯერ როგორ მოახერხაო. მე დალოცვილო, დღევანდელი ცივილიზაციის პირობებში ოღონდ ფული გქონდეს, თორემ გვარს თუ გინდა ყოველდღიურად გამოიცვლი (ამას ბევრი აკეთებს კიდეც). ესეც არ იყოს, ისეთი ბიზნესმენი, როგორიც მე ვარ, ერთ გვარს რატომ უნდა შევბერებოდი? იცვლება ცხოვრება, უნდა შეიცვალოს გვარიც. ერბო და კარაქწონაშვილმა თავისი დრო მოჭამა, დღეს ოქროწონაშვილის დრო დადგა. უდაოდ დიდი საქმე გავაკეთე, დარწმუნებული ვარ, ოქროწონაშვილი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართველი ერის მატიანეში.

ასეა ეს, ჩემო ბატონო. სოლომონ ისაკიჩი კი მაინც მედავება.

— თანაც მარტო გვარის შეცვლას კი არა, ვაჭარსა და ჩარჩს ოქრო სულში უნდა ეჯდეს, თორემ გვარი რა ექნება, ვისთვის რა ბედენაო.

— ვიცი საითაც უკაკუნებს. აწლანდელი ბიზნესმენები (ეს სიტყვა საჩოთიროდ ეჩვენება) მყვლეფავები ხართ, ხალხს ატყავებთ და ფულს უბირი გზით შოულობთო. მე წესიერი, პატიოსანი ჩარჩი ვიყავი, ბევრს ვშრომობდი, ცოტას ვიგებდი, ფულს შაურ-შაურ ვაგროვებდი და გაჭირვებით ვცხოვრობდიო.

ოჰო ჰო, ჰო, უსპეტაკესი კაცი! დაიცა, როგორა წერს?... „ნიადაგ ფუტკარივით ვშრომობდი, ოფლსა ვღვრიდი, მაგრამ წვითა და დაგვით შეკრებილს ფულს არას ვაკლებდი, ცოლშვილსაც ყოველ წელს ენით აღუწერელ სიღარიბეში, სიცივესა და სიბნელეში (დღევანდელი ყოფა არ დაგვიხატა!) ვამყოფებდიო“.

როგორ არა რცხვენია, მაგ მართლაც ჩარჩსა, მაგას. თვითონ რომ შიმშილობდა, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ მილიონერი კაცი ცოლშვილს როგორღა ამშიმშილებდა? თანაც ამით რომ ტრაბახობს კიდეც.

აქედან დასკვნით, სოლომონ მეჯღანუაშვილისა და ვანო ოქროწონაშვილის ერთმანეთთან შედარება შეიძლება? ეგ ჩარჩობით ნაშოვნ ფულს საკუთარი თავისა და ცოლშვილისთვისაც ვერ იმეტებდა, მე კი მონაგები მილიონებით ოჯახსაც მეფურად ვინახავ, რეკეტიორებსა და მაფიოზებსაც თავის წილს ვაძლევ და ქვრივ-ობლებსაც ვეხმარები. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვაკავშირებს — მილიონერობა. სოლომონი პირველი მშიერი მილიონერია საქართველოში, მე — პირველი მაძღარი მილიონერი. მე პირველი მილიონერი ქართველი ვარ, რომელმაც ქონების ლეგალიზაცია მოახდინა. (დღეს საქართველო სავსეა მილიონერებით, მაგრამ აბა თუ ვინმეს დააცდენინებ!). ფულის მალვა, ქონების მიწაში ჩაფვლა სოლომონ მეჯღანუაშვილისა და პარტოკრატი კომუნისტების მოგონილია. ძლივს მოვიდა დრო, როცა შემიძლია ქონებით ვიამაყო და ეს მონაპოვარი ხელიდან რატომ უნდა გავუშვა? მე ჩემს ქონებას როგორც მინდა ისე მოვიხმარ, სულაც ერთ დღეში რესტორანში დავხარჯავ, ვის რაში ეკითხება?

— მაგახაც გიწუნებთ. ქართველები ყოველთვის იმაზე მეტს ვტრაბახობთ, ვჭამთ და ვქეიფობთ, ვიდრე საქმეს ვაკეთებთო.

— აბა, ამის მთქმელი, ქართველია? წარმოიდგინეთ, მე რომ მარტო ფული ვაგროვო, არ ვიქეიფო, რა ბიზნესმენი ვიქნები? ქართველი კაცი ქეიფისა და დროსტარების გარეშე ვის წარმოუდგენია? იგი მაშინაც კი ქეიფობს, როცა ომობს. ჩვენ რომ აფხაზეთში მარტო გვეომა და არ გვექეიფა კიდეც, მარტო აფხაზეთს კი არა, რუსეთსაც დავიბრუნებდით. ეს (ქართველი კაცის ხასიათი) იციან მსოფლიოში და ანგარიშს გვიწევენ.

ასეა ჩემო ბიძიკო, მარტო ფულის დაგროვება და სოლოლაკზე მდიდრული ბინის ყიდვა არაფერს ნიშნავს (აკი უპირა კიდეც ცხოვრებამ კუკუზნაქში). თუ ქართველი ხარ, ფულის კეთებაც უნდა იცოდე, ქეიფიც და დროსტარებაც.

— სოლომონ ისაკიჩმა დღევანდელი ბიზნესის თაობაზე თავისი თვალსაზრისი ამას წინათ ტელევიზიითაც გამოთქვა.

— მოვისმინე, მაგრამ ნეტავ არ მომესმინა. ეგ რეები ილაპარაკა, კაცოო. ბიზნესმენებმა საქართველოდან სპილენძის გატანა შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი, ფულის გულისთვის ქვეყანას როგორ დავღუპავდიო. ვერ გამიგია, ამით ქვეყანა ვითომ რატომ დაიღუპებოდა? პირიქით, მე რომ თავის დროზე საქართველოდან თურქეთში სპილენძი არ გამეზიდა, წარმოგიდგენიათ რა ფულს დავკარგავდი მე და რა ფულს დაკარგავდა სახელმწიფო. დღესდღეობით იმ სპილენძის გამომყენებელი ჩვენში მაინც არავინ იყო და ტყუილად რატომ უნდა გდებულიყო? ახლა თუ დადგება ჟამი მუშაობისა, ვინ დამიშლის, ისევ შემოვიტან. მაშინ გატანით გავაკეთე ფული, ახლა შემოტანით გავაკეთებ. თუ ნაღდი ბიზნესმენი ხარ, ასეც უნდა მოიქცე, ქვეყნის ქონება ერთ ადგილზე არ უნდა დაალპო, იგი უნდა ამოძრაო და ნიადაგ ფული აკეთო.

არც ის არის დასაძრახისი (როგორც ეს მეჯღანუაშვილს ეჩვენება), საზღვარგარეთ ხორბალი იაფად იყიდო ან მთლად მუქთად იშოვო და აქ, დამშეულ საქართველოში ძვირად გაყიდო. ასეთ რამეს ჭკვიანი ბიზნესმენი, აქაოდა სინდისიერი ვარო (სოლომონის მოტივი) ცხვირზევით არ აიცილებს. ფულის კეთება ბიზნესის ნორმების მიხედვით თავისთავად ზნეობრივია და ის უზნეობის საერთო ნორმებს არ უნდა დავაჩაგვრინოთ.

ანდა ის რა თქვა, ბანკიდან კრედიტების გატანა შემომთავაზეს და ვერ ვინამუსეო. ვითომ მაგაზე ნაკლები ბიჭები იყვნენ, კრედიტები რომ გაიტანეს და დოლარებით აივსნენ? ამაზე თავის დროზე ზოგმა ჩვენმა პარლამენტარმაც არ თქვა უარი და მეჯღანუაშვილი ვინ მყავს ისეთი, რომ დაიმორცხვა? დედა ვაცხონე და მამა მაგათი, ჩემი აზრით, კარგი პოლიტიკოსი კარგი ბიზნესმენიც უნდა იყოს. აბა, ისინი არიან პოლიტიკოსები, ერთთავად რომ აუჩემებიათ, რუსეთის ჯარი გაიყვანეთო? მაგათ ჯარი კი ვერ გაიყვანეს (პირიქით, უფრო მეტი შემოიყვანეს), მაგრამ მშივრები კი დარჩნენ.

ასეა, ბატონებო, და რას იზამ, ტყუილუბრალოდ გაისარჯა ჩვენი სოლომონ ისაკიჩი. „ჩოტკით“ გაზრდილი ჩარჩი, რა თქმა უნდა, კომპიუტერული საუკუნის ბიზნესმენებს რჩევა-დარიგებას ვერ მისცემს.

ოთარ ხუციშვილი.

P.S. ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, რომ რედაქციაში შემაშფოთებელი ცნობა მივიღეთ — უკვალოდ გაქრა ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე ვანო ოქროწონაშვილი. არავინ იცის, იგი მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ, ცოცხალია თუ მკვდარი. გაძარცულია მისი ბინაც, წაღებულია მილიონობით დოლარი, დიდძალი ოქრო-ვერცხლი და სხვა ფასეულობანი.

რა მოხდა, რა უნდა ვიფიქროთ? არის სხვადასხვა ვერსია. შესაძლოა სხვა პარტიები შურისძიებით განიმსჭვალნენ ჰუმანიტარული ტვირთის პარტიის მიმართ, რომელმაც ვანო ოქროწონაშვილი ამ დღეებში თავის ლიდერად აირჩია და მომავალ არჩევნებში მისი დეპუტატობის კანდიდატად დასახელება გადაწყვიტა. გამორიცხული არ არის, რომ ეს ბინძური საქმე ჩაიდინა ქართულმა მაფიამ, რომელიც ამას წინათ ბიზნესმენმა „უტვინო მუშამბისათვის“ შეახურა. არც ის არის გასაკვირი, რომ ამაში ჩათრეული აღმოჩნდეს საერთაშორისო მაფიაც (ბატონი ვანო ხომ საზღვარგარეთ უამრავ საქმეს ატრიალებდა).

რედაქცია დაუკავშირდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების, პოლიციის, ინტერპოლის სპეციალურ სამსახურებს, საიდანაც გვაცნობეს, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, მანამდე კი, თუ ვინმემ რამე იცის მომხდარის შესახებ, ვთხოვთ დარეკონ რედაქციაში, ტელეფონით: 99-73-24, 93-24-30, 99-93-08.

სირცხვილია!

უკვე მერამდენედ: — მიწისქვეშა გადასასვლელებსაც მივხედოთ!..

უკვე გაზაფხული დაიბიჯებს ჩვენს დედაქალაქში, მწვანე სამოსელს იცვამს გარემო, გაზონებსა თუ სკვერებში თავს იწონებენ ათასფრად აელვარებული ყვავილნარები, მათ თავს დასტრიალებენ გამწვანების მუშაკები, ბარავენ, რგავენ, ასუფთავებენ იქაურობას, გზებს არემონტებენ, სახლის ფასადებს ღებავენ, ახლებენ ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის მუშაკები, დიახ, თბილისი თავის ძველ იერსახეს იბრუნებს, მაგრამ ყველგან კი იგრძნობა განახლებისკენ სწრაფვა?!

აბა, მიწისქვეშა გადასასვლელებში ჩავიხედოთ, რა ხდება? სულ შორს ნუ წავალთ, აქვე, ქალაქის ცენტრში, კოსტავას ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე, გმირთა მოედანზე მდებარე გადასასვლელები ვნახოთ... ჩამტვრეული ნათურები, სიბნელე, ნაგვის გროვები, ზოგ უდიერს ტუალეტად რომ გაუხდია, ანტისანიტარიის ბუდედ უქცევია. ასეთ უსაფრთხო გადასასვლელს ბევრი ისევ ქუჩაზე გადარბენას ამჯობინებს, და, ყველგან, ვისაც კი სად მოისურვება, იქ გადადის. აღარ დაგიდევენ, აღარც საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას და აღარც სირცხვილსა და უკულტურობას.

ლარისა ხუბულური.

ხიდი

მეხანძრეებს ინტეგრაციის დიდი იმედი აქვთ

ამ დღეებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარმა სამმართველომ პარიზიდან მიიღო ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის საერთაშორისო კომიტეტის გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის ფრანსის მერერის წერილი. წერილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ საერთაშორისო კომიტეტი სთავაზობს საქართველოს, გახდეს ამ ორგანიზაციის ნამდვილი წევრი. ამისათვის საჭიროა, უწინარესად, ადგილზე შეიქმნას ეროვნული კომიტეტი, რომელიც უნდა სცნოს საქართველოს მთავრობამ, როგორც ქვეყნის საერთაშორისო კომიტეტის ერთადერთი წარმომადგენელი. ასეთი კომიტეტი საქართველოში შეიქმნა.

ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსმა, პოლკოვნიკმა ჯუმბერ სურმავამ საქინფორმის კორესპონდენტს გულიკო მარკოზაშვილს განუცხადა, რომ ეს საქართველოსათვის დიდი პატივია. ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრად შესვლა მიზნად ისახავს სახანძრო ურთიერთობის სფეროში ინფორმაციის გაცვლას, ახალი სახანძრო ტექნიკის ათვისებას, მისი გამოყენების შესახებ ინფორმაციის გაცნობას და სხვა ღონისძიებებს.

საერთაშორისო კომიტეტის წერილზე ჩვენ თანხმობა განვუცხადეთ, რადგან ეს სტიქიური უბედურება ყველას სატკივარია და როცა ერთობლივი ძალებით შევუტევთ მას, შედეგიც უფრო ეფექტიანია. ასე რომ, საქართველო ამიერიდან გახდება ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის ნამდვილი წევრი, რომლის შტაბბინა პარიზში მდებარეობს. „აქვე დავუმატებდი, თქვა ბატონმა ჯუმბერმა, რომ აქამდე ჩვენ არ გვქონდა მატერიალური საშუალება, დადებითად გვეპასუხა საერთაშორისო კომიტეტის წინადადებაზე. ახლა გამოინახა გზები და მოხარული ვარ, რომ ეს საქმე წარმატებით დაგვირგვინდა.

„შავი ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება“

„მაინც ეურჩებიან თავს დამტყდარ უბედურებას, მაინც ცდილობენ მკურნალებად იქცნენ“.

ალბერ კამიუ

შედეგები უდავოდ შთამბეჭდავია: დააკავეს 68 დანაშაულში ეჭვმიტანილი მოქალაქე, რომელთაგან 42 უკ- 30 სანქცირებულია.

დააპატიმრეს 15 ძებნილი.

უკანონო მფლობელებს ჩამოართვეს 22 ავტომატი, 16 დამბაჩა და რევოლვერი, 3 შაშხანა, 2 ტონა ფერადი ლითონი, იპოვეს 7 მოტაცებული ავტომანქანა...

გაიხსნა 59 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის, მკვლელობის — 3, ყაჩაღობის — 15, ქურდობის — 35 და ასე შემდეგ.

„ზოგიერთ საქმეს მხოლოდ სასამართლოში წარმართვაღა უნდა“, — მითხრა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, პოლიციის პოლკოვნიკმა გურამ ქარქაშაძემ.

ამჯერად, ნამდვილად „იკახბერეს“.

კარგად ორგანიზებულმა ღონისძიებამ ყველა გაახარა, საკუთარი ძალების რწმენა შემატა, პროფესიული თავმოყვარეობა დაუკმაყოფილა.

„უდავოდ გამორჩეული ოპერაცია იყო“, — ერთსულოვნად აღნიშნავენ სპეციალისტები, ჟურნალისტები, უბრალო, რიგითი ადამიანები.

ზოგიერთი სკეპტიკოსი, შესაძლოა, შემედავოს: — რამდენჯერაც „გაწმინდეს“ გურია, ყაჩაღ-მკვლელები იმდენჯერ მომრავლდნენ. ამჯერადაც არაფერი გამოვაო.

კარგი მეურნე საერთოდ არ გააპარებს სარეველას ყანაში; თუ მაინც გაეპარება, თანდათანობით, ყველას ამოძირკვავს, და ასე იმოქმედებს მანამ, სანამ საწადელს არ მიაღწევს.

გურიას ჭირად მოედო სარეველა, იმდენად ჭირად, რომ ერთ-ორ წელიწადში ვერ გამარგლავ, ვერ მოერევი.

გაიხსენეთ ალბერ კამიუს „შავი ჭირი“: „ჩაბნელებული ქალაქიდან პირველმა სახეიმო მაშხალებმა იელვეს. ქალაქი მათ გაბმულ, ყრუ ყიჟინით შეხვდა. კოტარა, ტარუ, მისი ცოლი, ყველა ისინი, ვინც რიეს უყვარდა, — მკვდარი თუ დამნაშავენი — დავიწყებას მიეცნენ. მოხუცი არ ტყუოდა: ხალხი არ შეცვლილა. მაგრამ მათი ძალა და უცოდველობაც სწორედ ეს იყო და რიე გრძნობდა, რომ განვლილი ტანჯვის მიუხედავად, თვითონაც მათ უერთდებოდა“.

ახლა, მთავარია, ეს დრო მოვიდეს, და, ეტყობა, მოდის კიდეც.

• • •

— **წინა** ოპერაციები, ჩვეულებრივ, 2-3 დღე გრძელდებოდა, — ამბობს ბატონი გურამ ქარქაშაძე. — ამჯერად, 5 დღეს დავრჩით. ამიტომ, იმ ღონისძიებებისაგან განსხვავებით, დაპატიმრების სანქციებს ადგილზე ვიღებდით...

— ბატონო გურამ, ამანაც ხომ არ განაპირობა სანქცირებული პატიმრების სიჭარბე?

— არა. უმრავლესობას ისეთი მძიმე დანაშაულობები აქვს ჩადენილი, ეჭვი არავის შეეპაროს, რესპუბლიკის პროკურატურაც არ დაგვამადლიდა მათი დაპატიმრების სანქციებს;

ამ ღონისძიების ერთ-ერთი თავისებურება ისიც იყო, რომ რეგიონის სამივე რაიონში, პირველად, საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები იყვნენ მივლინებული. ასევე პირველად, ოპერაციას 100 გამომძიებელი ემსახურებოდა. ისინი ყოველ ჩხრეკას ესწრებოდნენ, რაც ამ პროცესის კანონის ნორმებით მკაცრი განხორციელების გარანტად იქცა.

• • •

გრიგოლ სოროზანაშვილსა და აკაკი კუტუბიძეს მოპარული „ჟიგულის“ დამალვაც მოესწროთ.

პატრონი შეშინდა და პოლიციაში არ იჩივლა, არადა, დანაშაული 13 მარტს მოხდა.

ამ ბიჭებს ორლულიანი თოფი, ხელყუმბარა და ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანაც ჩამოართვეს.

ისინი საკმაოდ მოზრდილი ბანდის წევრები არიან, რომლის დანარჩენი წარმომადგენლები იძებნებიან.

„ერთად უნდა ვებრძოლოთ“

ადრე რამდენჯერმე ნასამართლევმა გურამ ქლენტმა, გელა ინწკირველმა და მერაბ ჭეიშვილმა სოფელ მთისძირში მეზობლის დემნა ინწკირველის ოჯახი ააწიოკეს.

ხუთმა ყაჩაღმა ადამიანი მოიტაცეს და მოკლეს. ახლა ერთი მკვლელი დაპატიმრებულია.

ადრე ნასამართლევმა გურამ სიხარულიძემ, ძებნილმა ალექსანდრე ქათიბაშვილმა, თამაზ სიხარულიძემ, დავით კვიკვაძემ და კახა თოდრიამ სულ ცოტა 10 ყაჩაღობა ჩაიდინეს.

ეტყობა, იყნოსეს და 2 ავტომატი, 2 დამბაჩა, გადაჭრილლულიანი თოფი, „ნაგანი“ და 6 ნიღაბი (!) მიწაში ჩამარხეს.

ლანჩხუთში, სოფელ ლესაში კახა ბახვაძე, ორ ამფსონთან ერთად, მარიამ იმერლიშვილს მიუხტა იარაღით.

ნატანებელმა შალვა კუნჭულიამ უნებართვოდ მიატოვა რუსთავის № 14 სპეციალური კომენდატურა და იძებნებოდა.

ასევე ნატანებელმა ზაურ ტუღუშმა ნავთობსადენიდან 44 ტონა ნავთობპროდუქტები მოიტაცა.

ცხემლისხიდელმა ზაზა ადეიშვილმა შემოქმედის მონასტერი გაძარცვა.

ვალერი ტუხუჩავა მკვლელობისათვის იძებნებოდა.

ფაქტობრივად, გაიხსნა 28 მარტს, სოფელ ასკანაში ნიკო შევარდნაძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისას მეზობლის — სერგო კოჩალიძის მკვლელობის საქმე.

ლანჩხუთის ცენტრალური აფთიაქიდან, 4 თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, 10 გრამ მორფს გასცემდნენ; მისი ადრესატი ვიღაც „კანონიერი ქურდი“ თითქოს მძიმე სენით იყო შეპყრობილი, ის საზღვარგარეთ (რუსეთში) ცხოვრობს. წამლით ქმარს საკუთარი ცოლი ამარაგებდა...

• • •

— **ბატონო** გურამ, ნუთუ ყველა საქმე პერსპექტიულია?

— ადრე, ისეც ხდებოდა, რომ ოპერატიული სამსახურები იჭერდნენ კაცს, საქმეს კი მასზე ვერ ქმნიდნენ და უშვებდნენ. ამრიგად, იმ დაკავებულზე საგამოძიებო დეპარტამენტში არავითარი მასალა არ შემოდიოდა.

ამ ოპერაციის მსვლელობისას, ასეთი გაუგებრობების შემთხვევათა რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა. ასე რომ, თითქმის ყველა საქმე პერსპექტიულია...

ზოგი საქმე ადგილზე დავტოვეთ, ზოგი — წამოვიღეთ. ეჭვი ნუ შეგეპარებათ, მართლმსაჯულებას ვერავინ ვერ გაექცევა.

— მაინც რამ შეუწყო ხელი დამნაშავეობის აღზევებას გურიის რეგიონში?

— თავი და თავი ადგილობრივი პოლიციის უმწეო მდგომარეობა და მეტად სუსტი მუშაობაა.

მე გავეცანი ოზურგეთის საგამოძიებო განყოფილების მუშაობას და ვნახე, რომ 1994 წლის სექტემბრიდან დღემდე აღძრულია ყაჩაღობის 40 საქმე და ყველა გაუხსნელია. მარტო მარტში 10 ასეთი შემთხვევა მოხდა. ამასთან, ზოგჯერ დაზარალებული არ ჩივის პოლიციაში, ამიტომ ღმერთმა იცის, რამდენი დანაშაული, საერთოდ, დაიმალა!...

— ვიღაც აუცილებლად იტყვის: ისევ ლიფსიტები დაიჭირეს, ღლავებს კი ვერ გაეკარნენ.

— გახსოვთ, რა მდგომარეობა იყო ქვემო ქართლში, დმანისში, — ნებისმიერ ავტომანქანას ძარცვავდნენ, იტაცებდნენ... ახლა იქ სიწყნარე და მშვიდობაა.

გურიაშიც ასე იქნება. მსხვილ მაფიოზურ კლანებს, ყაჩაღურ ჯგუფებს, რეკეტსა და ამისთანებს, საბოლოოდ მოეღება ბოლო.

იყვირონ, ლიფსიტებიო!... შეიარაღებულ წინააღმდეგობასაც არ ერიდებოდნენ, ქვეყანამ შეიტყო — ერთი პოლიციელი დაგვიჭრეს. იძულებული გახდნენ, თავდამსხმელი ადგილზე მოეკლათ.

ხალხი უზომოდ კმაყოფილი იყო.

თანდათან იმატა გამოცდილებამ, ორგანიზებულობამ. ინფორმაციაც უფრო და უფრო ნაკლებად იჟონებოდა.

როგორც ვნახეთ, შედეგმაც არ დააყოვნა...

დასასრულ, ისევ ალბერ კამიუს აჩრდილი გამოვიხმოთ: „ყურში სიხარულის ყიჟინი ესმოდა, მაგრამ რიეს ახსოვდა, რომ ამ სიხარულს საფრთხე ელოდა, რადგან, იცოდა ის, რაც ამ მოზეიმე ბრბომ არ უწყოდა და რაც შეიძლება წიგნებში ამოეკითხა კაცმა. იცოდა, რომ შავი ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება, რომ მას შეუძლია ათეულ წლობით ეძინოს ავეჯსა თუ თეთრეულში, მოთმინებით იცდის ოთახებში, სარდაფებში, ჩემოდნებში, ცხვირსახოცებში, ქაღალდებში, და იქნებ ერთი დღეც დადგეს, როცა ადამიანთა საუბედუროდ თუ მათ ჭკუის სასწავლებლად შავი ჭირი კვლავ გამოაღვიძებს ვირთხებს და სასიკვდილოდ გამოგზავნის ბედნიერ ქალაქში“.

ზაურ მაქარაძე.

ხსოვნა

ქრისტინე (თინა) ბახტაძე

გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი ქრისტინე (თინა) სიმონის ასული ბახტაძე. იგი იზრდებოდა ქართველი ინტელიგენტის ოჯახში, სადაც ბავშვობიდანვე ეზიარა თავისი ბიძის, მწერალ ილია ხონელის ლიტერატურულ-პუბლიცისტიკურ მემკვიდრეობას.

ასეთმა საინტერესო ატმოსფერომ განაპირობა ქალბატონი თინას შემდგომი ცხოვრების გზა და იგი ამთავრებს თბილისის კონსერვატორიას გამოჩენილი პროფესორის ტრუსკოვსკის ხელმძღვანელობით. დამთავრებისთანავე იწყებს მუშაობას თბილისის არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, ხოლო შემდეგ პარალელურად მუშაობს მიზანდარის სახელობის პირველ მუსიკალურ სკოლაში.

თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ამ შესანიშნავ კოლექტივში გაატარა, რომლისთვისაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ უღალატია, თითოეულის ცხოვრებით ცხოვრობდა, გულით ინაწილებდა ჭირსა და სიხარულს.

დაგვიტოვა სიყვარული, მზრუნველობა, ამაგი და დიდი პედაგოგიური გამოცდილება, რაც მეტად ძვირფასია ყველა ჩვენგანისათვის. სამწუხაროა, რომ ქალბატონი თინა ჩვენი სკოლის საიუბილეო თარიღს — დაარსების 120 წლისთავს ვერ მოესწრო, გული გვწყდება ძვირფასი მეგობრის დაკარგვით.

თბილისის ა. მიზანდარის სახელობის პირველი სამუსიკო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობენ რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს თინა ზარგინავას დედის

ანა ქორქიას

გარდაცვალების გამო.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტის, ედიშერ მაღალაშვილის მეუღლე

ნატა მიხეილის ასული ყავრიშვილი-მაღალაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დამატებით აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

1. **აკადემიის** ნამდვილი წევრი და **ბიზნესის სამართლის განყოფილების გამგე** (1 ადგილი) — იურიდიულ ან ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

აკადემიის ნამდვილი წევრი (1 ადგილი) — იურიდიულ ან ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2 ადგილი) — იურიდიულ ან ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

2. აკადემიის ნამდვილი წევრი და **ჯანდაცვის ბიზნესის განყოფილების გამგე** (1 ადგილი) — მედიცინის ან ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

აკადემიის ნამდვილი წევრი (1 ადგილი) — მედიცინის ან ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2 ადგილი) — მედიცინის ან ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

3. აკადემიის ნამდვილი წევრი და **განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ბიზნესის განყოფილების გამგე** (1 ადგილი) — ტექნიკურ, ეკონომიკურ, ისტორიულ ან პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

აკადემიის ნამდვილი წევრი (1 ადგილი) — ტექნიკურ, ეკონომიკურ, ისტორიულ, ან პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2 ადგილი) — ტექნიკურ, ისტორიულ, ეკონომიკურ ან პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა აკადემიის სამდივნოში (ვაჟა-ფშაველას გამზირი, 41, საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის შენობის VI სართული) განცხადება, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დიპლომი (ატესტატი), სამეცნიერო შრომების სია და ორი მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის შუამდგომლობა-დახასიათება უნდა წარმოადგინონ ა/წ 10 მაისამდე.

აკადემიის პრეზიდიუმი.

ყურადღება!

ვაცნობებთ იმ მოქალაქეთა მონაცემებს, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიმართეს განცხადებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე:

1. **პეტრე მიხეილის ძე ზიმინი**, მცხ. ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში, სახლი 97/4, ბინა № 28.
2. **ანა ნიკოლას ასული ზიმინა**, მცხ. ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში, სახლი 97/4, ბინა № 22.
3. **ირინა ევგენის ასული შუმსკაია**, მცხ. ქ. თბილისში, თემქის დასახლება, მე-4 მ/რ, კორპ. 9², ბინა № 164.
4. **შალვა დიმიტრის ძე ჩემია**, მცხ. ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის ქ. № 4.
5. **რაფიელ ხაჩიკის ძე არუთინოვი**, მცხ. ქ. თბილისში, ნაძვის მე-2 შესახვევი, № 7.
6. **ნატალია ანდრეის ასული კაზაროვა**, მცხ. ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. № 72.
7. **შალვა პავლეს ძე ჩარგაძე**, მცხ. ქ. თბილისში, გლდანის I მ/რ, კორპ. 17, ბინა № 10.

მოქალაქეებმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ორგანოებს, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს, აქვს ქონებრივი ვალდებულებანი ან შეუსრულებელი მოვალეობები, ვთხოვთ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილება, სააღმსრულებლო ფურცელი და სხვ.

მისამართი: 380092, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, № 30, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო, ტელ.: 99-67-98, 99-03-44, 99-05-23, 93-42-91.

სპორტი

პირველი რაუნდი

ფეხბურთელთა ეროვნული თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები ასე დამთავრდა: ზუგდიდის „დინამო“-თბილისის „დინამო“ 3:4, რუსთავის „მეტალურგი“-ბათუმის „დინამო“ 0:0.

საპასუხო შეხვედრები თბილისსა და ბათუმში 15 მაისს გაიმართება.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

შოთა და არჩილ არველაძეების კლუბმა „ტრაბზონსპორმა“ შინ მეორე ფინალური მატჩიც მოუგო „გალათასარაის“ 1:0 (პირველი შეხვედრა სტუმრად — 3:2) და თურქეთის თასი მოიპოვა.

იტალიის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ ტურინის „იუვენტუსი“ და „პარმა“. პირველმა ნახევარფინალში სძლია რომის „ლაციოს“ 1:0 და 2:1, მისმა მომავალმა მეტოქემ კი „ფოჯა“ დაამარცხა 1:1 და 3:1.

დიდი უწესრიგობითა და 146 მაყურებლის დაჭერით დასრულდა საფრანგეთის თასის გათამაშების ერთ-ერთი ნახევარფინალური მატჩი „პარი სენ-ჟერმენი“ — მარსელის „ოლიმპიკი“. შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს 2:0.

მოახლოვდა მთავარი ბრძოლები

კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეული ხვალ ამთავრებს მეორე ტურს და გამოავლენს ნახევარფინალის მეოთხე მონაწილეს. მეშვიდე-მეათე ადგილები კი უკვე განაწილდა შემდეგი თანამიმდევრობით: ქუთაისის „იმერეთი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „შევარდენი“ და „გეორგიკა“.

„რეალის“ ტრიუმფი

ევროპის საკლუბო საკალათბურთო ჩემპიონატი (ყოფილი ჩემპიონთა თასის გათამაშება) სარაგოსაში მადრიდის „რეალმა“ მოიგო. ფინალში ესპანელებმა დაჯაბნეს საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“.

ოთხთა დასკვნითი მიკროტურნირის პირველ ეტაპზე „რეალმა“ საფრანგეთის „ლიმოჟს“ სძლია 62:49, ბერძნებმა კი თანამემამულეთა გუნდი „პანათინაიკოსი“ დაამარცხეს 58:52.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტის საკალათბურთო თასი (ყოფილი თასების მფლობელთა თასი) წლეულს იტალიის „ბენეტონ-ტრევიზომ“ მოიპოვა. კორაჩის თასს კი პირველად ევროტურნირების ისტორიაში გერმანული კლუბი „ალბა-ბერლინი“ დაეუფლა.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.
ინდექსი 66484